რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 15 თებერვალი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 37 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 37

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

ხელის მოწერის პირობები

1 თვით — 4 მან. 50 კ.	6 თვით — 27 მანეთი
2 თვით — 9 მანეთი.	1 წლით — 50 მანეთი
3 თვით — 13 მ. 50 კ.	ცალკე № ყველგან 20 კ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ გაზეთის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ტასია, შვილები: ჩიტო, კარლო და ვალოდია, ძმები ალექსი, იაკინთე და სოლომონ, დები კესა და მართა, რძალი პატკუ (ნინა) ძმის წულები: ვენერა, კუკნა (ელეონორა), დამიანე, გერასიმე და გერვონტი ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1918 წ. 15 თებერვალს დღითი ხუთშაბათს დილის 10 ს. მიქელ-გაბრიელის (გურია) მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

იაგორ გაბრიელის ძე გოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ. 2—2

იყიდება თფილისში

აბრეშუმის ჭიის თესლი

საუკეთესო თვისებისა, ყვითელი ჯიშისა.

ფირმა „დ. დ. დეკანოზიშვილისა“,

შემოწმებული კავკასიის სააბრეშუმო სადგურში.

მისამართი: დუშეთის ქ. № 21, ბინა მექანარიშვილისა. 3—2

თფ. ქართველ ვაჭარ-მრეწველთა დროებითი საბჭო

იწვევს ქართველ ვაჭარ-მრეწველთ საერთო კრებაზე

კვირას, 18 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ქართულ კლუბის შენობაში.

განსახილველი საკითხები: 1) დღევანდელი მომენტი, 2) შეკავშირება ქართველ ვაჭარ-მრეწველებისა, 3) დადასტურება საბჭოს მიერ გაწერილ ფულისა და სხვ.

ქალაქ სამტრედიის მომხმარებელ საზოგადოება

„დახმარება“-ს გამგეობა

იწვევს წევრთა ჩვეულებრივ

წლიურ კრებას,

რომელიც დანიშნულია 18 თებერვალს ახალი კლუბის დარბაზში დილის 11 ს.

დღიური წესრიგი: 1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და გამგეობის, 2) საანგარიშო წლის (1917 წ.) ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და მოგების განაწილება, 3) მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 4) არჩევნები სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრების რამოდენიმე ნაწილისა, 5) სხვა და სხვა საკითხები.

თუ კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, შემდეგი კრება იქნება 25 თებერვალს 1918 წელს. გამგეობა.

თფ. სამხედრო საკრებულოს განცხადება

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემულია ორი დეკრეტი: 1) 1899 წ-ში დაბადებულ ახალგაზდების სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ და 2) დაუყონებლივ დაბრუნება თავთავიანთ ნაციონალურ სამხედრო ნაწილებში ამიერ-კავკასიის ყველა სამხედრო—მოვალე იმ ახალგაზდებისა, რომელთაც წლოვანობით 25 წლამდე მიუღწევიათ (ე. ი. ვინც 1892 წლის 1 იანვრიდან—1898 წლის 31 დეკემბრამდე დაბადებულა). ამ დეკრეტების სისრულეში მოსაყვანად ზემოხსენებულ კატეგორიების თფილისში მცხოვრები ახალგაზდები მოვალენი არიან პასუხისმგებლობის შიშის ქვეშ გამოცხადდენ თფილისის სამხედრო საკრებულოს თავშესაკრებ ადგილზე (Сборный пунктъ)

სასტუმრო „კავკაზი“, ერევნის მოედანზე, შესავალი წინა კარებ., მე-2 სართუ-ზე.

ახალგაზდებმა თან უნდა იქონიონ პასპორტი ან სხვა რაიმე პირადობის შესამოწმებელი მოწმობა. იმათ კი, ვინც სარგებლობს პირველი რიგის შეღავათით ოჯახური მდგომარეობის გამო, უნდა ჰქონდეს თან მოწმობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, მიცემული თფილისის ქალაქის მილიციის უფროსისაგან ანდა უბნის კომისარისაგან.

გაწვეულები უნდა გამოცხადდენ შემდეგ რიცხვებში:

1-ლ და მე-2 სამილიციო უბანში მცხოვრებნი	ხუთშაბათს	15 თებერ.	დილ. 8 საათ.
მე-3, 4, და 5 „ „ „	პარასკევს	16 თებერ.	„ „
მე-6 და მე-7 „ „ „	შაბათს	17 „	„ „
მე-8 და მე-9 „ „ „	კვირას	18 „	„ „
მე-10 და მე-11 „ „ „	ორშაბათს	19 „	„ „
მე-12 „ „ „	სამშაბათს	20 „	„ „

მუსულმანებზე და დუხაბორებზე ეს კანონი არ ვრცელდება. გაწვევა მოხდება მობილიზაციური წეს-რიგით. ვინც პირველი რიგის შეღავათით სარგებლობს, მათ ამის დამამტკიცებელი მოწმობა უნდა წარადგინონ სამხედრო საკრებულოში არა უგვიანეს მათი გაწვევის დღისა. 3—3

ზავი ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის სეიმის მეორე სხდომაზე აირჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც ოსმალეთთან ზავის პირობებს შეიმუშავებს და შემდეგ ამ პირობებს სეიმს წარუდგენს დასამტკიცებლათ.

თუ როგორი იქნება ეს ზავის პირობები, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ერთი კი აშკარაა,—ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია, რომლის წარმომადგენლები სეიმის წევრთა შორის დიდ როლს თამაშობენ,—ეცდება მიიღოს დემოკრატიული ზავის პირობები, რომელიც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ წამოაყენა. უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული—ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ კლასების მთავარი მოთხოვნაა. დემოკრატიაც ყოველ ღონეს იხმარს, რომ იგი ცხოვრებაში გაატაროს.

ამიერ-კავკასიის დარაზმული და შეგნებული დემოკრატია აქაც შესაფერ სიმწიფესა და უნარს გამოიჩენს და თავის პრინციპებს ენერგიულათ დაიცავს. ის საბედისწერო ზავი, რომელიც ლენინ-ტროცკის პარტიამ გერმანიის იმპერიალისტებთან შეკრა, გაორკეცებულათ გვავალებს ასეთი ზავი ოსმალეთის მთავრობასთან არ ჩამოვაგდოთ, რომ მით ამიერ-კავკასიას ავაცდინოთ, რუსეთის ბედი.

სამარცხვინო და საბედისწერო ზავი, როგორიც ბალშევიკებმა მოწინააღმდეგე სახელმწიფოების იმპერიალისტებთან შეკრეს დამღუპველია არა მარტო დღევანდელ მცხოვრებთათვის, არამედ მძიმე და აუტანელი იქნება მთელი მომავალ თაობისათვის და რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება გერმანია-ავსტრიის გაბატონებულ კლასების მსხვერპლი გახდება. აქ ორი აზრი შეუძლებელია, სხვა გვარი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. თუ რუსეთისათვის ასეთი ზავი დამღუპველია —უფრო დამღუპველი იქნება იგი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთათვის.

ვინ არ იცის, რომ გერმანია-ავსტრიის სახელმწიფოები ეკონომიურათ განვითარებულია და მათი იმპერიალისტები მთელს რუსეთს ეკონომიურ მონობის ქვეშ დააყენებენ, რასაც შემდეგში, თავის თავათ საგულისხმოა, პოლიტიკური ბატონობაც მოჰყვება. ეკონომიურათ ძლიერი და ომში გამარჯვებული სახელმწიფოები რუსეთს თავის კოლონიათ გადააქცევენ, მაშასადამე, აქ უმთავრესათ ეკონომიური ბატონობა იქნება და მთელი რუსეთის ხალხი გერმანია-ავსტრიის კაპიტალისტებისათვის საწველ ფურათ გადიქცევა.

მაგრამ ამიერ-კავკასიაში მდგომარეობა უფრო სავალალო და საბედისწეროა. ჩვენ საქმე გვაქვს ეკონომიურათ და პოლიტიკურათ მეტათ განუვითარებელ სახელმწიფოსთან. ოსმალეთი თავის წარმოების წესით გაცილებით დაბალ საფეხურზე იმყოფება და იქ კაპიტალისტურ წარმოების ურთიერთობას ოდნავ ფეხიც არ მოუკიდებია. ეჭვს გარეშეა, წარმ. პრიმიტიული ფორმა იწვევს პოლიტიკურ წყობილების უკან ჩამორჩენილობას და იქ ჯერაც სავსებით არ გაუქმებულა ნახევრად ფეოდალური და დესპოტიური მართვა-გამგეობა. ოსმალეთი ყოველმხრივ ჩამორჩენილი სახელმწიფოა და როცა ასეთი სახელმწიფო დაწინაურებულ ქვეყანაზე გაიმარჯვებს, მისი დამორჩილებულ ქვეყანაზე ბატონობა აუცილებლათ პოლიტიკური ბატონობა იქნება. მაშ, რაგვარი ბატონობა უნდა იყოს ამიერ-კავკასიაზე, თუ არ პოლიტიკური? თვით ოსმალეთი ეკონომიურათ ევროპის სახელმწიფოების კოლონიაა და იგი ამ მხრივ საკუთარ ფეხზე არ სდგას. თავისთავად საგულისხმოა ოსმალეთი კავკასიაში ვერაფერს შემოიტანს, მას უკანასკნელი საგარეო ვაჭრობისათვის არ სჭირია და ამას არც მისი წარმოების ურთიერთობა მოითხოვს.

მაშასადამე, ოსმალეთის მთავრობას ამიერ-კავკასია, უკეთუ მან ეს მოახერხა, პოლიტიკური ბატონობისათვის უნდა, მას უნდა აქ ნახევრათ ფეოდალური და დესპოტიური მმართველობის წესი დაამყაროს.

აი, ამიტომ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მთელი თავისი ძალ-ღონე იქით უნდა მიმართოს, რომ ისეთი ზავი ჩამოაგდოს ოსმალეთთან, რომელიც მას საშუალებას არ მისცემს პოლიტიკური ბატონობის მისწრაფება სისრულეში მოიყვანოს. უცხო სახელმწიფოს მიერ ახალ ქვეყნის დაპყრობა და იქ თავისი პოლიტიკური ბატონობის დამყარება, მუდამ და ყოველთვის დიდ უბედურებათ ითვლებოდა. მაგრამ, როცა ასეთ ბატონობას უკან ჩამორჩენილი სახელმწიფო დემოკრატიულ ქვეყანაზე აპირობს, ეს მთელ ხალხს გადაგვარება-გადაშენებით ემუქრება და მას ყოველგვარ კულტურულ ცხოვრების მოსპობას უქადის.

ამიერ კავკასიის დემოკრატიამ ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის მეოხებით სრული დემოკ. თავისუფლება მოიპოვა და ამ წყობილების განმტკიცებას ელტვის. და ვინც ისტორიის ამ უძვირფასეს საუნჯეზე იერიშს მოიტანს და მის მოსპობას მოინდომებს, მას უკანასკნელ სისხლის წვეთამდის შეებრძოლება ამიერ-კავკასიის დემოკრატია და თავის ბრძოლით მონაპოვარს არავის დაუთმობს.

ამის შემდეგ აშკარაა, რომ ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია ოსმალეთთან დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას მოითხოვს და ამის და მიხედვით შეიმუშავებს ზავის პირობებს. ამიერ კავკასია ძველ საზღვრებში უნდა დარჩეს და ერთა თვითგამორკვევის უფლება ყველა ერს უნდა მიეცეს. აი ის ზავის პირობები, რომელიც ამიერ კავკასიის სეიმმა უნდა შეიმუშავოს და ოსმალეთის მთავრობას წარუდგინოს. აქ დათმობა-ანექსიას არავითარი ადგილი არ ექნება და ამიერ კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატიას კი შესწევს იმდენი ძალა, რომ თავისი სამართლიანი მოთხოვნილება ბოლომდის დაიცვას.

როგორ უნდა მოეწყოს ჯარი

როცა ჯარზე ვლაპარაკობთ, სახეში გვყავს ის ჯარი, რომელიც ხვალიდან უნდა მოგროვდეს და იმსახუროს ექვსი თვის ვადით. ეს, რასაკვირველია, არ არის ჯარი იმ სახით, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშია მიღებული. ეს ჯარი დროებითი, გარდამავალი საფეხური იქნება საყოველთაო სახალხო მილიციურ წყობილებაში გადასასვლელათ.

მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს ამ ჯარის მნიშვნელობას. პირიქით დღევანდელ პირობების მიხედვით ამ ჯარს დიდი როლი ექნება დაკისრებული: ერთის მხრით, იმან უნდა შესძლოს ანარქიასთან ბრძოლა, ხოლო მეორე მხრით—გარეშე მტრის მოგერება, უკეთუ ეს გარეშე მტერი ჩვენს ქვეყანას შემოესევა.

ცხადია, ჯარი იმ სახით, რა სახითაც დღეს ქართული ნაწილები არსებობენ, არა თუ სარგებლობას ვერ მოგვიტანს, პირიქით, დაგვღუპავს კიდეც. ამის მაგალითს იძლევიან ის ნაწილები, რომელნიც გორში და ქუთაისში იყვენ დაბანაკებულნი. ასეთს მიდრეკილებებს იჩენს, საუბედუროთ, თელავის ქართული პოლკიც. ეს ჯარი კი არა, საშინელი ბრბოა, რომელიც მტერს უფრო ახარებს, ვინემ მოკეთეს. მაშასადამე, ახალი ჯარი სულ ახალს საფუძველზე უნდა მოეწყოს.

რა საფუძველია ეს?

გვეტყვიან: დისციპლინაა საჭიროო. ეს მართალია, მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს დისციპლინა—ეს არის თავი და თავი.

ზოგიერთებს არ მოსწონთ რევოლიუციონური დისციპლინა. ისინი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ჯარისკაცები თავიანთ უფროსებს არ ემორჩილებიან და ჰფიქრობენ, რომ საქმე გასწორდება, უკეთუ ეს მორჩილება აღდგენილ იქნება.

ჩვენ გვაშფოთებს ის, რასაც დღეს ჯარისკაცები ოფიცრების მიმართ სჩადიან, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, ვითომ ჩვენი ოფიცრობა რაიმე ღირებულებას წარმოადგენდეს. ამიტომ სრულებით საკმაო არ არის და დღევანდელ პირობებში არც სასურველი, რომ ძველი გზით დისციპლინის აღდგენას შევუდგეთ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთი დისციპლინა აღდგეს, თორემ ასეთის დისციპლინის პირველი მსხვერპლი დემოკრატია გახდებოდა.

ამიტომ საჭიროა არა ბრმა მორჩილების აღდგენა, როგორც ეს თვითმპყრობელობის დროს იყო, არამედ ჯარის სრული რეორგანიზაცია, სხვა ნაირათ რომ ვსთქვათ სწორეთ რევოლიუციონური დისციპლინა, შეგნებული დამორჩილებაა საჭირო.

რას ნიშნავს ეს?

არსებობს ერთად ერთი მიზანი—ეს არის დემოკრატიის ბატონობა და ამისთვის არსებობს მხოლოდ ერთად ერთი საშუალება—დემოკრატიული მართველობის ორგანოები. ეს არის დემოკრატიული მთავრობა. ჯარი მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა დემოკრატიის ნება-სურვილების ცხოვრებაში გასატარებლათ. ამიტომ ჯარი მხოლოდ ამსრულებელი უნდა იყოს დემოკრატიულ ორგანოების ბრძანებების. ჯარისკაცი, როგორც მოქალაქე, ყოველგვარ უფლებებით უნდა სარგებლობდეს სხვა მოქალაქეებთან ერთად. ამ მხრით ის არაფრით არ უნდა განირჩეოდეს ჩვეულებრივ მოქალაქეთაგან, არავითარ ხარისხებს და წარჩინებებს ადგილი არ ექნება, ამ მხრით ჯარიც უნდა გაუთანასწორდეს სხვა სამსახურს: მხოლოდ მცოდნე პირები შედარებით მეტს სასყიდელს მიიღებენ.

ჯარის ყოფა-ცხოვრების დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ შევუდგებით. ვიმეორებთ, თავი და თავი ის არის, რომ ჯარი დემოკრატიულ მთავრობის ნება-სურვილის ამსრულებელი იყვეს—უკეთ რომ ვთქვათ ჯარი ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა ხალხი ჯარს.

ეს პრინციპი მტკიცეთ უნდა გავატაროთ, რომ მომავალმა ჯარმა თავისი დანიშნულება შეასრულოს.

პრესა

„ვოზროჟდენიე“-ში კ. თუმანოვი თავს იკატუნებს, ვითომ მას ვერ გაუგია ჩვენი აზრი, რომ შავრაზმულ აგიტაციისთვის ლაგამის ადებაა საჭირო და გვირჩევს: „კარგი იქნებოდა ეროვნულ კითხვებში „ერთობა“-ს მეტი სიფრთხილე გამოეჩინა და თავი დაენებებია პრესის ალაგმის შესახებ შავრაზმულ მოწოდებისთვისო“.

ამ ზუბრების ორგანოს, რომ კაცმა დაუჯეროს, გამოდის, რომ ჩვენ პრესის ალაგმვა მოგვეთხოვია. ნამდვილათ კი ჩვენ საჭიროთ ვთვლით აილაგმოს ბ. თუმანოვის პროვოკაციული გამოსვლები, რომლითაც ეს ვაჟბატონი ცდილობს თათრები სომხების წინააღმდეგ აამხედროს.

ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ბ. თუმანოვი იმოწმებს ჩვენს ამხ. რ. ა—ს, რომელიც თავის მოგონებებში აღნიშნავდა ზოგიერთ პარტიული მოღვაწეთა ზოოლოგიურ გრძნობების გამოღვიძებას. ამით ფიქრობს ბ. თუმანოვი თავის კაციჭამიობის გამართლებას. ჩვენთვის ეს სულ ერთია: ჩვენ ვებრძვით ყველა შოვინისტებს, მიუხედავათ იმისა, თუ როგორ სამოსელს ატარებენ ისინი.

ჩვენ არც ის გვიკვირს, როცა ბ. თუმანოვი ეროვნულ საკითხის გადაჭრას ფიქრობს უდემოკრატიოთ. აი რას სწერს ის ჩვენი პარტიის შესახებ:

„იმისთვის, რომ ეროვნული კითხვა სწორათ იქნას ჩვენში გადაჭრილი, საჭიროა უპირველეს ყოვლისა, რომ მის გადაჭრას ხელი მოკიდონ ისეთებმა, რომლებიც ეროვნულ საკითხის არსებობას ცნობენ... თუ ის პარტიები და პირები, რომელნიც ეროვნულ საკითხს უარყოფენ, მის გადაჭრაზე ხელს არ აიღებენ და პირიქით მის გადაწყვეტას შეუდგებიან, კითხვა ისევ გადაუჭრელი დარჩება და არსებული მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში არ გაუმჯობესდება“-ო.

ასე უბრალოთ და მარტივათ სჭრის საკითხს ზუბრების ორგანო!

* * *

„ვოზროჟდენიე“-ზე ნაკლებ სასაცილოთ არც გაზეთი „საქართველო“ იქცევა. ჩვენმა ნაციონალ-დემოკრატებმა ერთბაშათ დაივიწყეს ვიწრო ჯგუფური ეგოიზმი და ხელათ სამშობლოს სიყვარულის გრძნობით აპილპილდენ. ყოფილი სოციალისტი გ. ქიქოძე აღნიშნავს სამშობლოს განსაცდელს და საყვედურს გვითვლის:

„ამიერ-კავკასიის სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომელთაც ლლოიდ-ჯორჯებამდე არაფერი აკლიათ, გარდა მგრძნობიარობისა და პოლიტიკური გონებისა, ხელიდან გაუშვეს საუკეთესო შემთხვევა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში პირდაპირი მონაწილეობა მიეღოთ და უზრუნველ ეყოთ მაქსიმუმი საგარეო ძალების დახმარებისა. ამ ხალხს კიდევ რუსის დემოკრატიის იმედი აქვს“-ო.

გამოდის, რომ ჩვენ საქართველო, ან ამიერ-კავკასია მაინც დამოუკიდებლათ უნდა გამოგვეცხადებია და საგარეო ძალსაც უეჭველათ მოგვაშველებდენ.

„საქართველო“ ასეთი დარიგებით მოგვმართავს:

„17 თებერვლისთვის ტრაპიზონში ოსმალოს დესპანები ჩამოვლენ. იწყება უკანასკნელი გადამწყვეტი პოლიტიკური გამოცდა ქართველი სოციალისტების. თუ ეს გამოცდა ვერ დაიჭირეს, მათ ქართველი ერი გაასამართლებს, სანამ თვით წავიდოდეს რუსული იმპერიალიზმის სამსხვერპლოზე“-ო.

რა გამოცდა იქნება ეს „საქართველოს“ შეხედულობით, ძნელი გამოსაცნობი არაა: საქართველომ ახლავე დამოუკიდებლობა უნდა გამოაცხადოს, ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ჩამოშორდეს და ოსმალეთთან ვაჭრობას შეუდგეს! და თუ ეს რეცეპტი ნაციონალ-დემოკრატებისა არ ვიწამეთ—„საქართველო“ ბალშევიკურ თვითგასამართლებით გვემუქრება.

* * *

ასევე მსჯელობენ ეროვნულ-დემოკრატების ახლო მეგობრები, სოციალისტურ ქურქში გახვეული ფედერალისტები იმ განსხვავებით, რომ ისინი თვითგასამართლების მაგიერ ხალხის „გულის“ დაკარგვით გვემუქრებიან. მერე არ იტყვით რას გვაბრალებენ? „სახალხო“ სწერს:

„ამიერ-კავკასიის“ უმოქმედობამ და წვრილმან პოლიტიკით გატაცებამ ჩვენი საქმეები ხელში ჩაუგდო იმ სახალხო კომისარიატს, რომელსაც ვძულვართ. განა ეს აშკარა სამარცხვინო მდგომარეობა არ არის?“

რაშია საქმე? როდის ჩაუგდეთ ხელში ჩვენი საქმე სახალხო კომისარებს, რომელთაც „სახალხო“-ს ტერმინოლოგიით, ვძულვართ? „სახალხო“ გვიპასუხებს:

„მაშინ, როდესაც ხორცი უნდა შეგვესხა და ფორმა მიგვეცა ჩვენი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, როგორც ეს მოახდინა უკრაინამ, ფინლიანდიამ, პოლონეთმა და სხვებმა, ჩვენ კიდევ ორიენტაციებზე ვლაპარაკობდით, ვერ შევსძელით წარმოგვედგინა. რომ რუსეთი აღარ არსებობდა“-ო.

ჩვენ არ გამოუდგებით ფედერალისტებთან კამათს, რადგან ჩვენი აზრი ამ კითხვის შესახებ არა ერთხელ გამოგვითქვამს, მაგრამ ერთი უნდა ვკითხოთ „სახალხო“-ს: რათ ამათრახებს ის საკუთარ თავს? განა ისიც თანახმა არ იყო რუსეთის ორიენტაციის?

რუსეთის ბედი

როდესაც რუსეთის პოლონეთიდან ჯარმა დაიხია და აუარებელი მიწა-წყალი თავისი ციხეებით გერმანიის ჯარს დაუტოვა, ფართო საზოგადოებაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ რუსეთი გაყიდულია, მოღალატეებით სავსეა მთავრობა და ეს არის მიზეზი რუსეთის დამარცხების. „რუსეთი დამარცხდა, რადგანაც ხელმძღვანელები ღალატობენ“. ასეთი იყო ამ ისტორიული მოვლენის ახსნა. აშკარაა, რომ რუსეთში იყო მოღალატეები. მართალია, რომ იმათ მიუძღვით დიდი დანაშაული ჯარის დამარცხებაში, მაგრამ ეს არ არის ძირითადი მიზეზი რუსეთის დამარცხების. ჩვენ ვიცით, რომ ჯაშუშები ყველა ქვეყნებში არიან. ბევრი აღმოაჩინეს ამ ომის დროს საფრანგეთში, თვით გერმანიაშიაც. ბევრი დახვრიტეს, ბევრიც გადარჩა და განაგრძობს თავის ბნელ საქმეებს. მიუხედავათ ამისა არც საფრანგეთი და არც გერმანია არ დამარცხებულა, არ დაშლილა. ღალატით ახსნა ისტორიული მოვლენის—ეს მეშჩანების საქმეა. ასეთი ხალხის აზროვნება მეტად მარტივი და ზერელეა. ის მეტად ბუნდოვანად არ ჩვევს იმასაც, რაც ხდება მისი ცხვირის წინ. ხოლო რაც ხდება მთელ სახელმწიფოში, ან მთელს დედამიწის ზურგზე—მისთვის სრულიად უცნობია. ჩვენ მეშჩანებს ვერ ავყვებით და მათ პირველ-ყოფილ ფილოსოფიას ვერ გავიზიარებთ.

რუსეთის პატრიოტული ინტელიგენცია დამარცხების მიზეზად ასახელებდა მართვა-გამგეობის მთელ სისტემას. ძველი რეჟიმის შეცვლა აუცილებელ საჭი-

როდ მიაზნდა მას რუსეთის სამხედრო ძალის გამაგრებისთვის და მტერზე გამარჯვებისთვის. ტიპიური წარმომადგენელი ასეთი მიმდინარეობის იყო კერენსკი. ყველა მისი სიტყვები, წარმოთქმული ომის დროს სახელმწიფო სათათბიროში, ამის უტყუარი საბუთია. მისი აზრით, რუსეთის ხალხს აკლდა პოლიტიკური თავისუფლება, დემოკრატიული თვით-მოქმედება, მთელი თავისი ძალების ამოძრავება თავისუფლად. მიეცით მას სრული გამგეობა და ის ქვეყანას გააკეთებს. ასეთი აზროვნება ისტორიულ მოვლენას სხნის პოლიტიკური საზომით. მონარქიული წეს-წყობილება რუსეთს ამარცხებს, დემოკრატიული რესპუბლიკა გამარჯვების გზაზე დააყენებს. აზროვნება ლიბერალურია — ზერელეა. დღეს ჩინეთში ცხოვრობს ოთხასი მილიონი სული. იქ არსებობს რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა. მაგრამ საკმარისია იაპონიის ერთი კორპუსი, რომ ეს ქვეყანა დაიმორჩილოს. სრულებით მართალია, რომ მართვა-გამგეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. სადავო არ არის, რომ ბიუროკრატიული რუსეთი ხელს უწყობდა თავის ქვეყნის დამარცხებას. რუსეთის თვითმპყრობელობა ერთი მიზეზთაგანია მისი განადგურების. მაგრამ ეს არის უმთავრესი მიზეზი?

ამ ორი წლის უწინ, საზღვარ-გარეთ, მენშევიკების ერთმა ჯგუფმა მარტოვის მეთაურობით გაუკეთა ანალიზი რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას და შესაფერი დასკვნა გაუკეთა. მაშინ ჩვენ სავსებით არ ვიზიარებდით ამხ. მარტოვის დებულებას. დღეს ის უდავოდ მიგვაჩნია და ვაცნობთ მკითხველებს. ამხ. მარტოვი ადარებდა რუსეთს და გერმანიას. ერთი მხრივ სდგას ტეხნიკურად უმაღლესად განვითარებული სახელმწიფო. სწავლა განათლების მხრივ მას მოწინავე ადგილი უჭირავს. დღეს ომობს ტეხნიკა, გერმანიის ხალხი ტეხნიკურად მომზადებულია. მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციას, გერმანიის სხვადასხვა კლასები ჩამოყალიბებულნი არიან თავიანთ ორგანიზაციებში, მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი და შემუშავებული აქვთ მაგარი თვით დისციპლინა. ხდება მობილიზაცია ცოდნის, უნივერსიტეტები ომს ემსახურება, გერმანიის მეცნიერება, განსაკუთრებით ბუნების მეტყველება, უმაღლესად განვითარებულია. ერთი სიტყვით, რუსეთთან შედარებით, მთელი გერმანია თანამედროვე ქალაქს წარმოადგენს. რუსეთი? ეს გლეხური ქვეყანაა. თუ ერთის მხრივ ჩვენ ვხედავთ სოციალ-დემოკრატ დეპუტატს, მოწინავე ელემენტის წარმომადგენელს, მეორე მხრივ იმავე რუსეთში დათარეშობს ვინმე ზელიმ-ხანი და ისე ეწევა ბრძოლას მთავრობასთან, როგორც საშუალო საუკუნის ეგრედ-წოდებული რაინდები. რუსეთის ეკონომიური ძალა მეტად სუსტია. ტეხნიკურ ცოდნის მხრივ, ის პატარა შვეიცარიასაც ჩამოუვარდება თავისი რაოდენობით. ხალხის ორგანიზაციები, მაგარი და საქმიანი, მეტად მკრთალია. აქედან ზემოდ-დასახელებულ მენშევიკებს შესაფერი დასკვნა გამოყავდათ: სოფელი (რუსეთი) ვერ დაამარცხებს ქალაქს (გერმანიას).

დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ რუსეთს, იურიდიულად დამარცხებულს, მარტოვის ანალიზი, ვრცელი და ღრმა, გვახსენდება. **ამ დამარცხების ძირითადი მიზეზი რუსეთის სოციალურ-ეკონომიური შემადგენლობა იყო.** სახალხო კომისართა მთავრობამ ხელი შეუწყო ამ დამარცხებას. ამაშია მისი დანაშაული. რუსეთს შეეძლო თავის დახსნა ნახევრად მაინც, რომ დემოკრატიული ერთობა გამოჴედილიყო. ის მაშინ ნახევრათ დამარცხდებოდა და თავიდან-ფეხამდე გერმანიის იმპერიალისტებს არ ჩაუვარდებოდა. რუსეთი იქნებოდა სრულიად დახსნილი, რომ გერმანიის ტეხნიკური აპარატი, მთელი ძალა-უფლება იქ მუშების ხელში გადასულიყო. „ლიბკნეხტი ბერლინის საბჭოების თავმჯდომარეაო“, სწერდენ ბალშევიკები. ლიბკნეხტს კი არა, ფილიპე შეიდემანს რომ ჩაეგდო მთავრობა, რუსეთი ასე არ განადგურდებოდა. ჩვენ ვერაფერს ვერ ვიტყვით რუსეთის ახლო მომავალზე იმის მეტს, რომ მისი მონობისაგან გადარჩენა მარტო ევროპის მუშებს შეუძლიათ. მოხდება ასე ახლო მომავალში? ვერ დავმალავთ, პესიმიზმი შეგვეპარა.

ბ. თეკლათელი.

ჩრდილოეთ კავკასიის ამბები

მოზდოკის ყრილობის მიერ შექმნილ სახალხო საბჭოს, რომელიც შესდგება ყველა ადგილობრივ ერთა წარმომადგენლებისაგან გარდა ინგუშებისა და კუმიკებისა, სხდომები აქვს გამართული პიატიგორსკში. გამოიცა რამდენიმე დეკრეტი წვრიმალ საკითხების შესახებ. თითქმის მთელი კაზაკობა მიემხრო ახალ მთავრობას. მოწვეულ იქმნა ინგუშების წარმომადგენელთა კრება. მათ მოისმინეს მოხსენება ოლქის ახალ მთავრობის შექმნის შესახებ, შეურთდენ მოზდოკის ყრილობის ყველა დადგენილებებს და აირჩიეს თავის სამი წარმომადგენელი სახალხო საბჭოში გასაგზავნათ.

ოსების ეროვნულ ყრილობამ მთავრობის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) ვაღიარებთ რა, რომ მხოლოდ თვით ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრის ნიადაგზე შექმნილი მთავრობა შეიძლება იყოს ავტორიტეტული და სრულ უფლებიანი, რომ ასეთი მთავრობის შექმნა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, ოსების მე-5 ყრილობა ავალებს ეროვნულ საბჭოს ყოველ მხრივ შეუწყოს ხელი მოკლე ხანში დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის საჭირო პირობების შექმნას; 2) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე საერთო მთავრობის მოწყობის უფლება აქვს 15 თებერვალს პროპორციონალურ წარმომადგენლობის საფუძველზე მოწვეულ მცხოვრებთა ყრილობას, რომელ მთავრობასაც თერგისა და დაღესტნის მთავრობებმა უნდა გადასცენ თავის უფლებები; 3) ყრილობა უნდა მოხდეს კავკავში. მთიულთა მთავრობამ უნდა გადასცეს თავის უფლებები ეროვნულ საბჭოებს.

მე-5 ყრილობა ანდობს ეროვნულ საბჭოებს მოახდინოს დემოკრატიულ საფუძველზე გაერთიანებულ მთიულთა კავშირის რეორგანიზაცია, კავშირს არ უნდა ჰქონდეს მთავრობის ფუნქციები.

12 თებერვალს მოწვეულ იქნა კაზაკების მთავრობის მიერ კაზაკების წრე. კაზაკების სულიერი განწყობილება, რომელიც გამოიხატა დელეგატებისთვის მიცემულ ნაკაზებში, აშკარათ მტრულია როგორც თავის, ისე თერგ-დაღესტნის მთავრობისადმი.

წრის ბევრ დელეგატს აქვს სტანიცების მიერ მიცემული ნაკაზი დაუყონებლივ აიღონ თავის ხელში მთელი მეურნეობა, კაზაკთა მთავრობა გააუქმონ, ვინაიდან ყველა საკითხებს უნდა არჩევდეს საერთო სახალხო საბჭოო.

წრის ბევრ დელეგატს აქვს საოლქო დემოკრატიულ ყრილობის მანდატიც. ცენტრის დელეგაცია მონაწილეობას იღებს წრის სხდომებში.

კავკავში განზრახვა აქვთ შექმნან სახალხო საბჭო, რომელიც თავის ხელში აიღებს მთელ ძალა-უფლებას. ეს ძალაუფლება ამჟამათ მითვისებული აქვს დიქტატორს, კავკავის გარნიზონის უფროსს ბელიკოვს.

თერგ-დაღესტნის მთავრობამ ეროვნულ საბჭოებთან კერძო თათბირზე განაცხადა, რომ ის ხელს აიღებს თავის უფლებებზე, როგორც კი იქნება პიატიგორსკში მოწვეული საოლქო ყრილობა და გადასცემს ძალა-უფლებას ამ ყრილობის მიერ შექმნილ მთავრობას.

კავკავი. 12 თებერვალი. როსტოვიდან ცნობები არ არის. არის ცნობები, რომ როსტოვში და ნოვოჩერკასკში საალყო წესებია გამოცხადებული. როსტოვსა და ტიხორეცკაიას ახლოს ეკატერინოდარის მიმართულებით ბრძოლა დღემდისაც გრძელდება. სტავროპოლის საბჭომ ბალშევიკების დასახმარებლათ გუშინ გამოგზავნა 4 ეშელონი. სტავროპოლიდან ჯარი გაიგზავნა კავკავშიც, მაგრამ იგი უკან დაბრუნდა, ვინაიდან ოსებმა მას იარაღი აყარეს. პეტროგრადიდან და რუსეთიდან არავითარი ცნობები არ მოსულა.

მდგომარეობა ერევნის გუბერნიაში

გზათა კომისარი შეიხ-ულისლამოვი პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ ერევანში გაგზავნილ დელეგაციის წევრს სადიკოვს, რომელმაც შემდეგი ცნობები გადმოსცა: სად. სანდარამდის უვნებლათ მივედით. სანდარში ჩვენ დავაყენეთ დამცველი რაზმი და მოსამსახურენი. სად. სადახლოში დარჩენ მოსამსახურენი და დამცველი რაზმი. ეჩმიაძინიდან ულუხანლუმდე დელეგაცია ორთქლმავალით მიდიოდა, რადგანაც ცნობა იყო, რომ სადგურზე ბევრი მუსულმანი მცხოვრებნი არიან მოსულიო. ულუხანლუში დამცველი რაზმი 70 კაციდან შესდგება და. როდესაც კომისარიატის წევრები ულუხანლუში მივიდენ, სადგურს 300 მუსულმანები მოაწყდა, რომლებიც მოითხოვდენ იარაღს ულუხანლუ-ჯულფის გზის დასაცავათ და მუსულმანთა პოლკის მოსაწყობათ. ერევნის გუბერნიაში მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. მუსულმანები მოითხოვენ მუსულმანთა პოლკის შექმნას და მის შესაიარაღებლათ იარაღს. კომისარიატის წევრებმა გადასწყვიტეს შეადგინონ შერეულ სომეხ-მუსულმანთა პოლკი, რომელიც შეიარაღებულ იქნება დაშლილ მაროლელთა პოლკების იარაღით და რომელიც წესიერებას დაამკვიდრებს გუბერნიაში. სად. ულუხანლუში გადამწვარია ყველა დაწესებულებები. ერევნიდან აქ გამოგზავნილ იქნა ვაგონებით მოსამსახურენი და აპარატები. დელეგაცია ამ ჟამათ ერევანში იმყოფება და ამ დღეებში გაემგზავრება ჯულფისკენ. ერევანში ცნობა მოვიდა, რომ სეიმის დეპუტატები ბაქოდან 12 თებერვალს ჩაივლა ტფილისში. ერევნიდან დეპუტატები ჩვენთან წამოვლენ.

კავკასიის ფრონტი

12 თებერვალი, ნაშუადღევის 3 საათი. ბარნაკაბინში სიწყნარეა. მთებში თოვლი მოვიდა. როგორც იტყობინებიან სოფ. იავის, პარმაკის, ბარმაკის და ჩუკინდირის მცხოვრებნი შეიარაღებულნი არიან. ს. იავაში არის ორი ტყვიის-მფრქვეველი. ხნისის მიმართულებით სიწყნარეა. მოწინაღმდეგემ დაიჭირა ახლათი და კარმუჯი. კარჩუმის სამხრეთ რაიონში, რომელიც მდებარეობს ერზერუმ-მამახათუნის გზატკეცილზე, შეიარაღებულ თათართა რაზმმა 10 თებერვლის სროლის შემდეგ უკან დაიხია. 8 თებერვალს პლატანა დაიკავეს ოსმალეთის მე-37 დივიზიის ნაწილებმა და მაშინვე ოსმალებმა თავის სადარაჯოები წამოსწიეს ტრაპიზონისაკენ.

უკანასკნელ ცნობებით თათრებმა 11 თებერვალს დაიკავეს ტრაპეზონდის დასავლეთი ნაწილი.

ახალი ამბები

მუშათა დადგენილება. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ტიპო-ლიტოგრაფიის მუშებმა 13 თებ. კრებაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: უპასუხისმგებლო პირების გამოსვლა, რომლებიც თავიანთ თავს ბალშევიკებს უწოდებენ, ძირს უთხრის რუსეთის რესპუბლიკას და ადგილობრივათ ხელს უწყობს ანარქიის გამეფებას. ჩვენ აღნიშნულ დაწესებულების მუშები ვემორჩილებით რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეების ცენტრალურ აღმ. კომიტეტს და უარს ვყოფთ ყოველგვარ სეპარატიულ გამოსვლებს, რომლებიც ახლა ხელს უშლის სეიმის მუშაობას.

◆ **სამტრედიის** თვითმართველობა შუამდგომლობს ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტის წინაშე, რომ გაკეთებულ იქნას ორი ხიდი—რიონზე და ცხენის-წყალზე. პირველს სიგრძე ექნება 80 საჟენი, მეორეს—50.

◆ **ახალი რკინის გზები.** ქუთაისში იწვევენ ქუთაისის, ხონის და სამტრედიის წარმომადგენელთა თათბირს. განსახილველია საკითხი ამ ქალაქების შემაერთებელ ტკინის გზის გაყვანის შესახებ. წყალტუბოში გაყვანილი იქნება რკ. გზის შტო, თუმც ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ ამ სოფელში გაივლის ქუთაის-ხონის რკინის გზის მთავარი ლიანდაგი.

◆ **მობილიზაციის გარშემო.** ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ მას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია რკინის გზის განყოფილებათა უფროსებისათვის: თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის 29 იანვრის დეკრეტისა ყველა პირები, რომლებსაც 1918 წ. 1 იანვარისთვის 25 წელი შეუსრულდება, და უმცროსებიც გაწვეულ უნდა იქნენ სამხედრო სამსახურში, ამიტომ გთხოვთ ყველა ასეთი პირები გაანთავისუფლოთ სამსახურიდან.

◆ **სახადი.** როგორც იტყობინებიან, ალაშქერთის მიდამოებში გაჩენილა სახადი.

◆ **სურსათის ნაკლებობა.** როგორც ევგენი გეგეჭკორს ატყობინებენ, ერევანში პურის დიდი ნაკლებობა ყოფილა. მოითხოვენ 15 ვაგონ ფქვილს.

◆ **სიღნაღის** ქალაქის თავი ატყობინებს ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტს, რომ სიღნაღის თვითმართველობას განზრახვა აქვს მოაწყოს საავათმყოფო 50 საწოლით და სთხოვს ამისთვის საჭირო ინვენტარს.

◆ **ზედმეტი საადგილ-მამულო კომიტეტი.** სოხუმიდან იტყობინებიან, რომ იქ დაარსებულა აფხაზთა ნაციონალური საბჭო, რომელსაც გამოუყვია საადგილ-მამულო კომიტეტი. ასეთივე კომიტეტი არსებობს გუმისტინის საუზნო აღმასრულებელ კომიტეტთან. ამიტომ გუმისტინის უბნის კომისარი ეკითხება ამიერ-კავკასიის კომისარს, რომელ საადგილ-მამულო კომიტეტს ექნება უფლება მიწის საკითხის მოსაწესრიგებლათო.

◆ **იურიევის აღება.** როგორც თფილისში ცნობა მოვიდა, გერმანელებს აუღიათ პერნოვი და იურიევი.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა ოჯახების შესახებ.** ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი სთხოვს რკინის გზების დაწესებულებებს, რათა მათ ხელი შეუწყონ მუსულმანთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოსამსახურეთა ოჯახების ალექსანდროპოლში მშვიდობიანათ მგზავრობას. თუ ვაგონები არ ეყოფათ, ასეთ შემთხვევაში მათ უნდა მიმართონ დახმარებისათვის თავრიზის რკინის გზას.

◆ **მიმავალ ჯარის შესახებ.** ჯულფიდან სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე იტყობინება: სადგ. პორაშენში შეტაკებას მოყვა კამარლიუ-შახტახტის რკინის გზის დაზიანება. მიმოსვლის შეწყვეტა მეტათ ცუდ გავლენას მოახდენს სპარსეთის ფრონტიდან მომავალ ჯარების მგზავრობაზე. ამ ჟამათ ჯულფაში იმყოფება მე-66 დივიზია, რომლის გასაგზავნათ საჭიროა 400-დე ვაგონი, თუ დროზე არ მოგვეშველა ვაგონები, მოგვილის სასურსათო საკითხის გამწვავება, რადგანაც სასურსათო საგნები და საქონლის საკვები ცოტა მოგვეპოება. ულუხანლუ-ჯულფაში მომხდარ ამბების გამო მოსამსახურეთათვის მეტათ აუტანელი მდგომარეობა შეიქნა. ნაწილი მოსამსახურეებისა უკვე წავიდა, ნაწილიც მიმავალ ეშელონებთან აპირებს წასვლას. ამის შემდეგ მოსალოდნელია რკინის გზაზე მიმოსვლა სავსებით შეწყდეს.

◆ **განჯის კომისარი** ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ხოლდანის რაიონში მდგომარეობა მეტად სასაშიშროა. მოსალოდნელია პოგრომები, რომელიც ფართო ხასიათს მიიღებს და განადგურებით ემუქრება მახლობელ სომეხთა სოფლებს. საჭიროა გამოიგზავნოს მოხალისეთა რაზმი 50-ამდე კაცი ოფიცერიითურთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი დარბევა.

◆ **ბაქოს მუშები.** ბაქოს სახაზინო პალატის მმართველი იტყობინება: სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებმა თავიანთ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება, რომლის თანახმათ ისინი ითხოვენ დამატებითი ჯამაგირის მიცემას სექტემბრიდან თვითეულ სულზე 160 მ.

◆ **მადლობის გამოცხადება.** მე-11 უბნის კომიტეტის წევრნი უღრმეს მადლობას უცხადებენ მათ, ვინც გამოიღო თავისი წვლილი იოსებ გერსამიის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც მოკლულ იქნა 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში. სულ შემოწირულება 306 მან. უდრის ამ ფულით შეძენილ იქნა გვირგვინი.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მესამე რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, კლუბის შენობაში (ჭავჭავაძის ქ. №9) მეორე სამილიციო უბნის რ. ს.-დ. მ. პ. მცირე კოლექტივი იწვევს ყველა წევრთა საერთო კრებას.

— დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება მე-3 რაიონის კოლ. წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მეორე რაიონის კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება.

— დღეს. საღამოს 5 საათზე სახალხის თეთრ დარბაზში დანიშნულია ამიერ-კავკასიის გლეხთა საოლქო ცენტრის მორიგი სხდომა.

რუსეთის ამბები

მეფის მთავრობის ერთგული ყმა ბალშევიკების სამსახურში. როცა ბალშევიკებმა სახელმწიფო ბანკი ჩაიგდეს ხელში, იქ რამდენიმე კომისარი დანიშნეს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა საქმე ვერ მოაწყო. ამ გაჭირვებულ დროს სახალხო კომისარების საბჭოს გამოუჩნდა ნიკოლოზ II კამერგერი, თფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორის ყოფილი გამგე ბეზობრაზოვი და მოახსენა მთელი ჩემი ცოდნა გამოცდილება და ძალ-ღონე თქვენს განკარგულებაში იყოსო. ლენინის მთავრობას ფრიად ესიამოვნა ბეზობრაზოვის მიერ ასეთი უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოცხადება და თავდადება და ის დაუყოვნებლივ დანიშნეს სახელმწიფო ბანკის გამგეთ. ბეზობრაზოვმა სწრაფათ გამოიჩინა ცოდნა-გამოცდილება და ბანკის ფულებს ზოგს ქაღალდში აგებდა და რამდენიც შეეძლო ჰყლაპავდა. როცა მისი ასეთი „მოღვაწეობა“ აშკარა შეიქნა ლენინის მთავრობას, მეტი რაღა გზა ჰქონდა, ბეზობრაზოვი დაატუსაღა.

კერენსკის ფულების კონფისკაცია. სახალხო კომისარების საბჭომ კონფისკაცია უყო ყველა იმ ფულებს, რომლებიც კერენსკის ქონდა შენახული ბანკებში და თავის სახელზე გადიწერა. თუ მართალია, კერენსკის შენახული ჰქონია ორ მილიონ მანეთზე მეტი.

უცხოეთი

იტალიის პრემიერის აზრი ომზე. იტალიის დეპუტატთა პალატაში პრემიერმა ორლანდომ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ იტალიას მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ომი, რომ დაიცვას თავი და განახორციელოს ნაციონალური მისწრაფებანი.

ინგლისელ მუშათა დეპუტაცია. პარიზში გაემგზავრა ინგლისის მუშათა დეპუტაცია, რომელიც საფრანგეთის სოციალისტებთან ერთად გამოარკვევს ომის მიზნებს.

შეტაკება ბრიუსელში. ნემცებმა დაატუსაღეს და გერმანიაში გადაასახლეს ბრიუსელის საკასაციო სასამართლოს სამი მოსამართლე, რადგან მათ დაატუსაღეს ფლამანდიის მოძრაობის ორი მეთაური, რომლებმაც ფლამანდიის ავტონომია გამოუცხადეს. ბრიუსელში მოხდა დიდი დემონსტრაცია. პოლიციელებსა, ჯარისკაცებსა და დემონსტრანტებ შორის შეტაკება მოხდა. მოჰკლეს და დასჭრეს რამდენიმე კაცი.

ამიერ-კავკასიის სეიმი

13 თებერვლის კრება.

თუ 10 თებერვალს სეიმის კრებას რაღაც ცივი სახე ჰქონდა, რაღაც საერთო ინდიფერენტიზმის სული იდგა კრების დარბაზში, სამაგიეროთ 13 თებერვლის კრებას მეტი სიცოცხლე ეტყობოდა. აქა იქ ჯგუფ-ჯგუფათ დგანან დეპუტატები და გაცხარებით ბაასობენ, მუსულმანთა დეპუტატებიც უკვე ჩამოსულან და დინჯათ სხედან სავარძლებში, მორცხვათ გამოიყურებიან. ალბათ სცხვენიათ, რომ 10 თებერვლის კრების გადადების მიზეზი იგინი არიან. თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილია.

დღის პირველ ნახევარ საათზე გაისმა თავმჯდომარეს ზარის წკრიალი და დეპუტატებმა თავთავიანთი ალაგი დაიჭირეს. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

თავმჯდ. კ. ჩხეიძე—ვხსნი სეიმის კრებას. დღიური წესრიგი ასეთია: პრეზიდიუმის არჩევა, ამიერ-კავკასიის კომისარიატის მოხსენება და სხვადასხვა კომისიების არჩევნები და სხვა. გთხოვთ დაასახელოთ თავმჯდომარე.

ყველა ფრაქციის წარმომადგენლნი ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ ჩხეიძის კანდიდატურას თავმჯდომარეს ადგილზე.

თავმჯდომარე—კანდიდატი დასახელებულია. ეხლა როგორ გნებავთ, აირჩიოთ ფარული კენჭის ყრით თუ უბრალო ხელის აწევით.

კრება სურვილს აცხადებს ხელის აწევით აირჩიონ თავმჯდომარე.

ერთხმათ ირჩევენ ამხ. კ. ჩხეიძეს.

ჩხეიძე. მოქალაქენო და სეიმის წევრნო! გულწრფელ მადლობას გიცხადებთ, რომ ასეთი ერსულოვანი ნდობა გამომიცხადეთ და ასეთი მძიმე საქმე დამავალეთ. ვკისრულობ ამ მძიმე მოვალეობას იმ იმედით, რომ თქვენ დამეხმარებით პირნათლათ შევასრულო ეს მოვალეობა. სიტყვა ეკუთვნის ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ევ. გეგეჭკორს.

ტრიბუნაზე ადის გეგეჭკორი.

ე. გეგეჭკორი—მოქალაქენო და სეიმის წევრნო! გამოვდივარ თქვენს წინაშე, როგორც ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც მოიწვია ყველა რევოლიუციონერმა ორგანიზაციებმა ასეთ საშინელ დროს. არ დავფარავ, რომ აღელვებული ვარ. როგორც ვსთქვი ჩვენ მოგვიწვია ამიერ-კავკასიის ყველა რევოლიუციონერმა ორგანიზაციებმა სათავეში ჩავდგომოდით კავკასიის მთელ ცხოვრებას ისეთ დროს, როდესაც მთელი რუსეთის და ამიერ-კავკასიის საზოგადო ცხოვრება ძირიან ბუდიანათ შერყეული იყო, და არ გვქონდა აქ საარსებო საშუალება, ასეთ დროს არა თუ ძნელი იყო ჩვენთვის მუშაობა, პირდაპირ შეუძლებელი იყო რამეს გაკეთება. არავითარი საშუალება არ გვქონდა შემოქმედებითი მუშაობისთვის მიგვეყო ხელი. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ ვალდებული ვიყავით გვემუშავნა, რადგან ამას გვავალებდა ჩვენი სინიდისი და რევოლიუციონური დემოკრატია. კასა ცარიელი გვქონდა, ყოველ დღე მოდიოდენ ჩვენთან მუშები და თავიანთ ხვედრ ფულებს გვთხოვდენ. როცა არ გვქონდა აბა რა უნდა მიგვეცა ცენტრიდან არაფერს მოველოდით. და აი ასეთ საშინელ დროს ჩვენ მაინც არ დაგვიყრია ძირს ფარ-ხმალი და როგორც შეგვეძლო ისე ვაკეთებდით დავალებულ საქმეს.

ჩვენ ვმუშაობდით მუშ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოსთან სრულ შეთანხმებით: ეხლა თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მთელ რუსეთში და აგრეთვე ჩვენშიაც. მე მოგახსენებთ ზავის შესახებ. თქვენ კარგათ იცით თუ რა ცეცხლში გაიარა ამ საკითხმა. იცით რუსეთის რევოლიუციონური ლოზუნგი—ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო. ბევრი ლაპარაკით თავს არ მოგაწყენთ, მოგახსენებთ მხოლოდ უკანასკნელ ამბავს. ლენინის მთავრობამ შეჰკრა ზავი გერმანიასთან, ამით რუსეთის რევოლიუცია საბოლოოთ დაღუპა და გერმანიის იმპერიალიზმს გამარჯვების ფრთები შეასხა. სახალხო კომისარების საბჭომ ხელი მოაწერა ისეთ სამარცხვინო ზავის პირობებს, რომლითაც გაამზადეს კუბო და ეხლა შიგ მათ მიერ გულ-გაგმირული რევოლიუცია უნდა ჩაასვენონ. რუსეთი გერმანიის ახალშენად გადაიქცა, მას ხელ-ფეხი შეუკრეს ეკონომიურათ, რასაც პოლიტიკური დამოკიდებულებაც თან მოჰყვება. ამ გვარ ზავით ჩვენც დიდი საფრთხე მოგვიმზადეს. ეხლა ჩვენს გამჭრიახობაზე და ენერგიაზეა დამოკიდებული თუ როგორ მოვახერხოთ ოსმალეთთან ზავის შეკვრა. ზავის საკითხს დიდი საფრთხე მოელის, ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტის დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია. სეიმმა უპირველეს ყოვლისა ზავის საკითხი უნდა გადასწყვიტოს.

ეხლა მოგახსენებთ რა გავაკეთეთ ჩვენ ამ მხრით. (ის კითხულობს ვეხიბ-ფაშასთან მიწერ-მოწერის დეპეშას). უკანასკნელ დეპეშით ჩვენ ვაცნობეთ ვეხიბ-ფაშას, რომ ჩვენი დელეგატები 17 თებერვალს წავლენ მოსალაპარაკებლათ კიდევ ვამბობ, რომ ეს საკითხი ფრიად საჩქაროა, რადგან ცნობები მივიღეთ, რომ შესაძლებელია ფრონტზე შეტაკება მოხდეს. თუ გსურთ ეხლა გაგაცნობთ კავკასიის ფრონტის მდგომარეობას. ჯერ კიდევ ზავზე მოლაპარაკება არ დაწყებულიყო, რომ ჯარმა თავის ნებით წამოსვლა იწყო, პირველათ წამოვიდა ცნობილი 39 დივიზია. ჯარების წამოსვლამ სტიქიური ხასიათი მიიღო, ყველაფერი იქ დაჰყარეს, რის წამოღებაც არ შეეძლოთ, აუარებელი სიმდიდრე ფრონტზე დასტოვეს და სახლისკენ გამოიქცენ. ფრონტი გატიტვლდა. ოსმალთა ჯარი წინ წამოვიდა და დაიჭირა ერძინჯანი, არდასუ, და ტრაპიზონსაც მალე ხელში ჩაიგდებენ. ვეხიბ-ფაშა თავის ასეთ მოქმედების საბუთად იმას ასახელებს, რომ რუსის ჯარმა ყველაფერი ოხრად დასტოვა და მოვლა-პატრონობა უნდაო.

ასეთია ფრონტზე მდგომარეობა და კიდევ ვიმეორებ ზავის საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრათ. 17 თებერვალი შორს არ არის, როცა თქვენ აუცილებლათ უნდა გაგზავნოთ დელეგატები.

ეხლა შევეხები საზოგადო მდგომარეობას. როგორც ზემოთ ვსთქვი ამიერ-კავკასიის კომისარიატს აუტანელ პირობებში მოუხდა მუშაობა, რუსეთში გამეფებულმა ანარქიამ აქაც იპოვა სამკალი. ამის ნიადაგი აქ უკვე იყო თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კავკასია მრავალ სხვადასხვა ერებით არის დასახლებული და მათში დიდი განსხვავებაა განვითარების მხრით. აქ იყო რუსის ჯარი, რომელიც სახლში ბრუნდებოდა და ყოველ ნაბიჯზე უწესოებას ახდენდა. ის ლაპარაკობს ბაქოს გზაზე მომხდარ შეტაკებების შესახებ, იგონებს შამქორის ამბავს და ამბობს: ამ ამბავის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, იქ მომხდარ სისხლის ღვრას უკავშირებენ კომისარიატის და რევოლიუციონურ ორგანიზაციების სახელს. ეს ფრიად სამწუხარო ფაქტია. კომისარიატმა ყოველი საშუალება მიიღო, რომ ამ ამბავს ნათელი მოეფინოს. დაინიშნა გამოძიება და ჩქარა გვეტყვიან ვინ არის დამნაშავე ან შამქორზე ხოცვა-ჟლეტაში რაიმე წილი უდევს თუ არა ამიერ-კავკასიის კომისარიატს. საგამომძიებლო კომისია იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას, მე თქვენ წარმოგიდგენთ და თქვენ იტყვით ვართ დანაშაული თუ არა. ადგილობრივმა უპასუხისმგებლო ერთმა ჯგუფმა პირად თუ ჯგუფურ ინტერესების გულისთვის მიზნათ დაისახა მთელი ამიერ-კავკასიის ეროვნების არევ დარევა, ანარქიის მოხდენა და სამოქალაქო ომის გაჩაღება. ეს ჯგუფი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ოღონდ კი თავის გულის ზრახვანი სისრულეში მოეყვანათ, მათ მიძინებულ სინდისს ვერ აღვიძებდა მოსალოდნელი ძმათა სისხლის ღვრა, რევოლიუციის დაღუპვა და ამიერ კავკასიის კომისარიატის და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდენ, რუსეთი დაღუპვის კარამდე მიიყვანეს და უნდოდათ ჯერ კიდევ რამდენათმე გადარჩენილი კავკასიაც დაეღუპათ. ჩვენ, როგორც რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიერ არჩეული, არ შეგვეძლო რეპრესიულ ზომებისთვის მიგვემართა, ამის ნებას არ გვაძლევდა ჩვენი სოციალისტური შეხედულება. ისეთი ზომა არაფერი მიგვიღია, რომ შევავიწროვებია თავისუფლება, მაგრამ ბალშევიკების მოქმედებამ ყოველივე საზღვარს გადააჭარბა. ნამდვილი საბუთები გვაქვს იმისი, რომ იგინი გადაცმულები მიდიოდენ ფრონტზე განაწამებ რუსის ჯარებთან და ეპატიჟებოდენ თფილისზე თავდასასხმელათ, რომ სისხლით მოერწყოთ ქალაქი და დამტკბარიყვენ თავიანთ ნამოქმედარით. ჩვენ ყოველივე საშუალებას ვხმარობდით, რომ უვნებლათ გაგვეტარებია მიმავალი ჯარები ბაქოს გზაზე. ამ მხრით პირველი ნაბიჯი გადავსდგით 9 იანვარს, გავგზავნეთ ეშელონი და თან გავაყოლეთ 40 საუკეთესო მუშა ჯავშნიან მატარებელზე, რომ იგინი სამშვიდობოზე მიეყვანათ. ჩვენ გვეგონა ბალშევიკები ამით დაკმაყოფილდებოდენ და პროვოკაციას თავს დაანებებდენ, მაგრამ ამის მაგიერ ჩვენ აი რას ვკითხულობთ მეორე დღეს იმათ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩ“-ში (კითხულობს ამიერ კავკასიის კომისარიატმა, თათრებს და ბეგებს იარაღი დაურიგა და მიმავალ ჯარს ხოცავს. როდის იქნება საბრალო ჯარისკაცთა სისხლში ბანაობას თავი დაანებოსო და სხვა. ისმის ხმები: „სამარცხვინოა, სამარცხვინო!“) მეორე დღეს ჩემთან მოვიდენ ჯარისკაცები და ამ გაზეთის ნომერი მომიტანეს, სადაც ასეთი სიტყვები იყო დაბეჭდილი და გულუბრყვილოთ შემეკითხენ, მართლა ამიერ კავკასიის კომისარიატი ასეთ ამბებს ახდენს და ჩვენი სისხლი სწყურიაო? ეხლა მითხარით განა უფლება გვქონდა ეს გაზეთი არ დაგვეხურა? არ გვქონდა და დავხურეთ კიდეც. (მქუხარე ტაში). ამ ჯგუფის წყალობით საშინელი ამბავი დატრიალდა გორში, ხაშურში, ქუთაისში და სხვაგან. გორის მაზრის სოფლებში ისეთი ამბები ხდება, რომელიც ადამიანს სისხლს უყინავს. ხოცვენ ხალხს ყოვლად უმიზეზოთ, ჰკლავენ მთელ ოჯახებს, არ ინდობენ არც მოხუცებს და არც ძუძუ მწოვარა ბავშვებს, დახოცილთა დამარხვის ნებას არ აძლევენ და

ძაღლებს უსევენ შესაჭმელათ. ჩვენ გვქონდა საბუთი, რომ ამ საზიზღარ სისხლის ღვრაში დამნაშავე იყვენ ზოგიერთი პირები, და განა ჩვენ უფლება გვქონდა გულ ხელ დაკრეფილი გვეცქირა მათთვის განეგრძოთ ასეთი მხეცური და საზიზღარი მოქმედება? არა, ჩვენც დავიჭირეთ ეს პირები და სატუსაღოში დავამწყვდიეთ, რომ ხოცვა-ჟლეტის საშუალება მოგვესპო მათთვის, (ტაში). აი მათი მოქმედების უტყუარი საბუთი: (კითხულობს) „გორის ბალშევიკთა კომიტეტისაგან ბალშევიკთა კრაევოი ცენტრი. ქართული პოლკის ჯარი ჩვენ მხარეზეა და გამოგზავნეთ ინსტრუქტორები, რომ მოქმედებას შევუდგეთ“. გაგზავნეს ეს ინსტრუქტორები და მოახდინეს ის, რაც გულით უნდოდათ. ასეთივე ამბავი დატრიალდა ქუთაისში, მაგრამ წითელმა გვარდიამ მათ ლაგამი ასდო და მოსპო ხოცვა-ჟლეტა და დარბევა. ქუთაისში ეხლა მშვიდობიანობაა.

შემდეგ გეგეჭკორი ეხება შაუმიანის სასაცილო მდგომარეობას როგორც გამოაცხადა მან თავი კავკასიის საგანგებო კომისრათ, როგორ იწვევდა ეს „ეხლანდელი ნამესტნიკი“ დაწესებულებათა წარმომადგენლებს და კერძო პირთ მიემართათ მისთვის კოჩუბეის ქუჩაზე, რა ზომა მიიღო ამის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, რომელმაც გადასწყვიტა შაუმიანის გაძევება და თუ არ წავიდოდა დაეჭირა, მაგრამ ის მიიმალა. დასასრულ ის ეხება 10 თებერვალს ალექსანდროვის ბაღში მომხდარ შეტაკების ამბებს და ამბობს: 10 თებერვალს, როცა ამიერ-კავკასიის სეიმის კრება იყო დანიშნული, ალექსანდროვის ბაღში გამართეს კრება. დაცვის შტაბმა გაიგო, რომ იქ იყვენ დასაჭერი პირები, რომლებიც მოუწოდებდენ კრებას გამართთათ მანიფესტაცია და შეიძლება კიდევ სხვა რაღაც. იქ გაგზავნეს მილიციონერი ამ პირთა დასაჭერათ. მილიციონერი მოჰკლეს. მეორეს იარაღი აჰყარეს და მესამე დასჭრეს. მერე რაც მოხდა, თქვენც იცით. სამწუხარო ამბავია, მაგრამ ის კი უტყუარი ფაქტია, რომ ამ ჯგუფს უნდოდა სისხლის ღვრა მოეხდინა. გუშინ ჩემთან მოვიდენ ახლოს მდგარ მიმავალ ეშელონების წარმომადგენელნი და მომთხოვეს გამეშვა დაჭერილები და გაზეთების გამოცემის ნება მიმეცა. მე მათ ავუხსენი, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ცდილობს დაეხმაროს მას ყოველის მხრით და უზრუნველჰყოს მათი უვნებლათ მოგზაურობა. მე ვურჩიე მათ არ აჰყოლოდენ პროვოკაციას და მშვიდობიანათ თავიანთ გზას გასდგომოდენ. გარწმუნებთ, რომ ეს ჯგუფი იქ ბოჭკებით ეზიდება ღვინოს და არაყს, რომ ამ გზით მოახერხოს თავის სამარცხვინო საქმის გაკეთება, მთვრალი ხალხი მოგვისიოს და თფილისში სისხლის ტბები დააყენოს.

ამგვარათ, მოგახსენებთ, რომ ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიშურავს და რაც შეგვეძლო გავაკეთეთ, როგორც პატიოსანმა რევოლიუციონერებმა, ეხლა კი, როცა სეიმი შესდგა, ჩვენ ვანებებთ თავს ჩვენს მოვალეობას და ვაბარებთ სეიმს. (ხანგრძლივი ტაში).

თავმჯდომარე—კითხულობს კომისარიატის განცხადებას გადადგომის შესახებ.

ნ. ჟორდანია ამბობს, რომ ზავის საკითხი სასწრაფოა და ის უნდა გადასწყვიტოს უპირველეს ყოვლისა სეიმმა. უნდა აირჩიონ კომისია, რომელიც დელეგაციას აირჩევს და 17 თებერვალს გაგზავნის. კომისარიატის შესახებ სთქვა, რომ მისი განცხადება სეიმმა უნდა მიიღოს, რადგან ის სეიმის მოწვევამდე იყო დაყენებული, მაგრამ სანამ ახალი მთავრობა შესდგებოდეს სთხოვოს სეიმმა დარჩეს.

ამის შემდეგ მოხდა პატარა ინციდენტი, რამაც ხმაურობა და აურზაური გამოიწვია. ტრიბუნაზე ავიდა გვაზავა და დაიწყო: ამიერ კავკასიის კომისარიატმა ითხოვა გადადგომა, ეხლა ვიკითხოთ როდის უნდა გადადგეს „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო“... (სიტყვა აღარ დააცალეს, ასტყდა ხმაურობა და ყვირილი „ძირს“, გვაზავა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მას უნდოდა განეგრძო სიტყვა, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა და სთხოვა პირდაპირ საკითხს შეხებოდა). გვაზავამ განაცხადა, რომ სანამ ზავს შევკრავდეთ კავკასიის დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთო.

კრება 15 წუთით შესწყდა.

კრების განახლებისას აირჩიეს ზავის, სარეგლამენტო და სამანდატო კომისიები.

ზავის კომისიაში: ს.-დემოკრატ მენშევიკებისაგან—ნ. რამიშვილი და ა. ზურაბოვი; მუსულმანთა პარტია „გუმეტისაგან“—შეიხ-ულ ისლამოვი, მუსულმანთა სოციალ. ბლოკისგან ჰაჰინოვი, „მუსავატისგან“—მამედ გარანგანჯინსკი და ხან ხოისკი; დაშნაკცაკანებიდან—ტიგრანიანი და ხატისოვი, ფედერალ. ლასხიშვილი, ნაც. დემოკრატ.—გვაზავა და სხვა. აირჩიეს აგრეთვე სამანდატო და სარეგლამენტო კომისიები.

კრება დაიხურა. შემდეგი კრება დღეს დილის თერთმეტ საათზე სასახლეში.

ქალთა ყრილობისთვის მზადება

11 თებერვალს „ნაკადულის“ რედაქციაში მოხდა კრება იმ ბიუროსი, რომელსაც ქართ. ქალთა საზოგადო კრებიდან დავალებული აქვს: მოაწყოს სრულიად საქრ. ქართველ ქალთა ყრილობა. ამ ბიუროს უკვე რამოდენიმეჯერ ქონდა კრებები. ბიურომ დაინახა აუცილებლათ, რომ ამ ყრილობის იდეის ირგვლივ ყველა წრის, პარტის ქალებმა მოიყარონ თავი, განსაკუთრებით კი მშრომელმა, მუშა ქალებმა, გამონახონ ის საერთო პლატფორმა, რომელიც შეასისხლხორცებს, შეადუღებს ქალთა საკითხის უმთავრეს აზრებს, რაიც საშუალებას მისცემს ჩვენს ქალებს მტკიცე ორგანიზაციით, შეკავშირებული, წინდაწინ გათვალისწინებული დირექტივებით შედგას ფეხი ჩვენს ახალ ცხოვრებაში; ამ აზრით გამსჭვალული შეუდგა ბიურო მუშაობას. მან აცნო ყველა პარტიებს და ქალთა საზოგადოებებს, რომ გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები ბიუროში საერთო მუშაობისათვის. აღნიშნულ კრებაზე იყო თითქმის ყველა ჩვენში მომქმედ პარტიებიდან და ქალთა საზოგადოებიდან წარმომადგენლები, სულ ათი წარმ. იყო. ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტიდან წინა კრებაზე იყო ამხ. მინადორა ტოროშელიძე, რომლის განცხადება წაკითხული იყო ამ კრებაზე. ტოროშელიძის განცხადება შემდეგია: ვინაიდან ამ ჟამათ მათ ძალიან დიდი მუშაობა აქვთ და არავითარი საშუალება არ აქვთ ჩაერიონ წინასწარ საქმიანობაში, ისინი წინაღმდეგი არ არიან ყრილობისა, და თუ ასეთი იქნება მოწვეული, ისინი მიიღებენ მონაწილეობას. მიიღო რა მხედველობაში ბიურომ ეს განცხადება მაინც იმედოვნებს, რომ ჩვენი პარტია, ასე იქნება თუ ისე, ენერგიულათ ჩაერევა ამ საქმეში, რადგან სადაც ჩაგრულთა და დამონავებულთა ქომაგია, იქ მისი ღირსეული დამცველიც უნდა იყოს. მანდატებს დაამტკიცებს შემდეგ. ბიურო შეუდგა პრეზიდიუმის არჩევნებს. ამ საკითხმა კამათი გამოიწვია, მაგრამ ბოლოს შეთანხმება მოხდა. რადგან სრული შემადგენლობა არ იყო მოსული კრებაზე ბიუროსი, პრეზიდიუმის საბოლოო არჩევა შემდეგ მორიგ კრებისთვის გადაიდვა. მორიგ კრებისთვის პირველ საკითხათ დაისვა კითხვა მოწოდების გამოშვება ჩვენი ერისადმი, და სხვა საჭირბოროტო სადღეისო კითხვები. საზოგადოთ სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ ბიუროს კრებებს ყველა პარტიის ქალები ესწრებიან და მხურვალე მონაწილეობას იღებენ კამათში და საზოგადოთ ამ საქმიანობაში. სასურველია, რომ მეტი ენერგია და ფხა გამოიჩინონ ჩვენმა ქალებმა ამ მეტათ სერიოზულ საქმეში, რათა დაწყებული რთული საქმე ბოლომდის მიიყვანონ. როგორც ვიცით ახლო ხანებში სდგება ვერაზე და ნაძალადევში მუშა ქალთა ორგანიზაციები. მეტათ საჭიროა და აუცილებელიც, რომ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა წინასწარ მუშაობაში, რადგან ყველა ის, რაც დასახული აქვს ბიუროს სამუშაოთ, ის არსებითათ ეხება ყველა ქალებს და განსაკუთრებით კი მშრომელ ქალებს.

ტურფა მზის დედა.

იაგორ გაბრიელის ძე ბოლქვაძე

დღეს 15 თებერვალს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში შესწყდა ხალხისადმი სიყვარულით აღვსილი, სათუთი გრძნობებით გამსჭვალული გულის ძგერა.

გასულ წლის 15 თებერვალს იქ სამუდამოთ თვალი დახუჭა პატარა, მაგრამ დიდ ბუნოვანმა ადამიანმა. თვალი დახუჭა იმ დროს, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მთელ რუსეთში გაისმა სანატრელი ყიჟინა, როცა დაიმსხვრა მონობის ბორკილი და დიდებულ რევოლიუციის ტალღებმა წალეკეს მტარვალთა ხროვა. ის, რომელმაც ნახა 1905 წელი, რომელიც ოცნებით ფრთებ შესხმული უმწვერვალეს ბედნიერებას განიცდიდა ამ დროს, რომელმაც შემდეგ განიცადა ამ ოცნების უმოწყალოდ მსხვრევა, სათაყვანებელ იდეალების დასამარება და ფეხქვეშ გათელვა, რომელმაც მთელი თავის სისასტიკით განიცადა რეაქციის შავბნელი დღეები და სიხარულით ატოკებული გული და სასოწარკვეთილების გრძნობამ დაამუხრუჭა, ვინ იცის რას მისცემდა, რომ ერთი თვალი მაინც გადაევლო ამ დიად სანახაობისთვის, ერთი წუთით მაინც დამტკბარიყო მისი გული. ულმობელმა სიკვდილმა სწორეთ ამ ნანატრ დროს გასწყვიტა მისი გულის ძარღვი, თავის საზიზღარი ხელებით დაუხუჭა თვალები და მისი უკანასკნელი სიტყვები „გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს რევოლიუციას“—მის გაყინულ ბაგეს შეაკლა.

ეს იყო იაგორ გაბრიელის ძე ბოლქვაძე.

იაგორი არ იყო დიდი კაცი, ის არ იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, რაც ასე საჭიროა ჩვენი საზოგადოებისთვის ადამიანის დასაფასებლათ. მაგრამ ის ბევრ დიდ კაცზე კიდევ უფრო დიდი იყო. მართალია მან სწავლა განათლება ვერ მიიღო, მას არ ჰქონდა ეს გარეგანი ნიშანი საზოგადოების საჩვენებლათ, მაგრამ სამაგიეროთ ის იყო ბუნებით მდიდარი, ნაზი გრძნობის, ფაქიზი ზნეობის და მძლავრი ენერგიის პატრონი.

ის სოფლის შვილი იყო და მას ის უყვარდა, ის სოფლის შვილი იყო და მისთვის სძგერდა მისი გული, ის სოფლის შვილი იყო და ამ სოფლის სიყვარულში ამოხდა ტანჯული სული. მას ხალხი უყვარდა და მას შესწირა თავი.

ის დაიბადა სოფ. მიქელ გაბრიელში, გურიაში. სწავლა-განათლება თავის ოჯახში მიიღო. ის პატარაობიდანვე გრძნობდა, რომ რაღაც აწუხებდა, საჭირო იყო მოქმედება, მაგრამ როგორ და რა გზით—ეს კი ვერ გაეგო.

მაგრამ აი იწყება გურიის გლეხთა მოძრაობა და იაგორმაც უცბათ გაიგო, რაც უნდა გაეკეთებია, რა იყო საჭირო. ის ამ მოძრაობაში თავგადადებული გადაეშვა. 1905 წელს ჩვენ ვხედავთ მას ამხ. ბენია ჩხიკვიშვილთან და სხვებთან ერთად გურიის მოძრაობაში ჩაბმულს, წარმოუდგენელია რა აღფრთოვანებას განიცდიდა ის ამ დროს, ის ყველგან იყო და რასაც დაავალებდენ თავდადებულათ ასრულებდა. მას ეგონა ბოლო მოეღო მტარვალობას.

მაგრამ დაბერა რეაქციის ძლიერმა ქარმა და მის ოცნებასაც ფრთები მოსტეხა: მტერმა მაზე სასტიკათ იძია შური. ჯერ ცეცხლს მისცეს და გადაბუგეს მისი სახლკარი, შემდეგ კი ის თავის უფროს ძმასთან ერთათ ციმბირის გზას გაუყენეს. იაგორს საშინელი მახვილი ჩასცა მტერმა გულში, მის გულს ამის შემდეგ აღარ გაუხარია, მის ბაგეზე ღიმილს არ გაუთამაშია. გათავდა მისთვის ყველაფერი, სამუდამოთ ჩამობნელდა, დაიხურა. თუმცა ის დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ დაავადმყოფებული და სრულიად დაუძლურებული. ის ვეღარ შეურიგდა მტრის გამარჯვებას, ვერ შეურიგდა შავ-ბნელ დროს და მეტის ფიქრისა და დარდისაგან სულით ავათმყოფი შეიქნა.

„გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს ჯალათები მოვიდენ... ამხანაგებო მედგრათ“. მხოლოდ ეს სიტყვები და ახსოვდა საბრალო იაგორს და სულ მუდამ იმას ფუსფუსებდა ჩაფიქრებული.

15 თებერვალს კი ეს სიტყვები უკანასკნელად შეაკვდა ტუჩებზე.

წარმოუდგენელია, როცა ადამიანი ბოლოს აღწევს მიზანს, ორივ ხელები გაშვერილი აქვს და ის არის უნდა სწვდეს საოცნებო საგანს და გაშვერილ ხელებს სიკვდილი გაუშეშებს.

იაგორი თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს იმ ხალხმა, რომელთანაც ის სცხოვრობდა და რომლის სიყვარულით სძგერდა მისი გული და არც დაივიწყებენ.

ირეთელი.

არა სამხედრო აზრები

გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-ში დაბეჭდილია მ. გორკის შემდეგი წერილი:

„ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი რევოლიუციის განვითარებაში ომმა დიდი როლი ითამაშა. ომმა აბსოლიუტიზმში მატერიალური დეზორგანიზაცია მოახდინა, გახრწნა ჯარი, და მცხოვრებთა მასაში თავხედობა გააძლიერა. მაგრამ საბედნიეროთ ომს არ შეუქმნია რევოლიუცია, რადგან ომის მიერ შექმნილი რევოლიუცია არის უძლური რევოლიუცია. ის გამომდინარეობს განსაკუთრებულ პირობებიდან, დაყრდნობილია გარეშე ძალაზე და ბოლოს და ბოლოს იმდენ ძალას ვეღარ იჩენს, რომ ხელში ჩაგდებული პოზიციები შეინარჩუნოს“.

ეს ჭკვიანური და წინასწარმეტყველური სიტყვები სთქვა ბატ. ტროცკიმ 1905 წელს, ეს სიტყვები მე ამოვიღე მისი წიგნიდან „ჩვენი რევოლიუცია“. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და უეჭველია ბ. ტროცკი ეხლა სულ სხვა გვარათ აზროვნობს, ყოველ შემთხვევაში ის ვერ გაბედავს ეხლა სთქვას, რომ „ომის მიერ შექმნილი რევოლიუცია, უძლური რევოლიუციაა“.

14—17 წლების ომმა ძალა უფლება პროლეტარიატს მისცა, სწორეთ რომ მისცა, ვერავინ ვერ იტყვის, რომ პროლეტარიატმა ძალით ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, ის მას ჩაუვარდა ხელში იმიტომ, რომ სამი წლის ომით განაწამებმა მეფის დამცველმა ჯარისკაცმა უარი სთქვა რომანოვების ინტერესების დაცვაზე, რომელსაც ასე იცავდა ის 1907 წელს და ჟლეტდა რევოლიუციონურ პროლეტარიატს. საჭიროა დავიხსომოთ, რომ რევოლიუცია დაიწყეს პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცებმა და როცა ეს ჯარისკაცები ფარაჯებს გაიხდიან და სოფლებში წავლენ—პროლეტარიატი განცალკევებული, მარტოთმარტო დარჩება, რაც მისთვის ხელსაყრელი არ იქნება.

სასაცილო იქნებოდა იმ ჯარისკაცისთვის, რომელიც ისევ გლეხათ გარდაიქმნა, მოგვეთხოვა აღიარებია პროლეტარიატის იდეალიზმი, როგორც რელიგია და დაემყარებია სოფლის ცხოვრებაში პროლეტარული სოციალიზმი.

ომის დროს გლეხმა და რევოლიუციის დროს ჯარისკაცმა რაღაც შეიძინა და ორივე მათ კარგათ იციან, რომ რუსეთში თავისუფლებას ყველაზე მეტათ უზრუნველყოფს—ფულები. აბა სცადეთ დაარღვიოთ ეს რწმენა, ან რამდენათმე შეარყიოთ ის.

არ დაივიწყოთ, რომ 1905 წელს პროლეტარიატი როგორც რიცხვით ისე ღირსებითაც ძლიერი იყო, ვიდრე ეხლა და მაშინ მრეწველობაც არ იყო სავსებით განადგურებული.

ომით შექმნილი რევოლიუცია, უეჭველია, უძლური გამოდგება, უკეთუ პროლეტარიატი იმის მაგიერ, რომ მთელი თავისი ენერგია სოციალურ შემოქმედებას მოახმაროს, თავის ბელადების გავლენით, დაიწყებს ძირიანათ გაანადგუროს „ბურჟუაზიული“ ტეხნიკური ორგანიზაციები, რომლის მექანიკა მან ხელში უნდა ჩაიგდოს და მის მუშაობას კონტროლი გაუკეთოს.

რევოლიუცია დაიღუპება შინაგანი დაუძლურებით, უკეთუ პროლეტარიატი დაემორჩილება სახალხო კომისრების ფანატიკურ შეურიგებლობას და თანდათან გააღრმავებს დემოკრატიასთან უთანხმოებას. პროლეტარიატის იდეოლოგია კლასობრივი ეგოიზმის იდეოლოგია არ არის, მისი საუკეთესო მასწავლებელნი კარლ მარქსი, კაუცკი და სხვები, მის პატიოსან ძალას ავალებენ გაანთავისუფლოს მთელი ხალხი სოციალურ და ეკონომიურ მონობისაგან.

მთელ მსოფლიო ცხოვრებას ამოძრავებს სოციალური იდეალიზმი—ყველას ყველასთან ძმობის დიდებული ოცნება—ნუ თუ პროლეტარიატი ფიქრობს, რომ ის ანხორციელებს ამ ოცნებას, როცა თავის იდეურ მტრებზე ძალას ხმარობს? სოციალური ბრძოლა — ცხვირ-პირის სისხლით შეღებვა კი არ არის, როგორც ამას ასწავლიან რუს მუშებს მისი შეშინებული ბელადები.

რევოლიუცია—დიდებული, პატიოსანი საქმეა, რომელმაც უნდა განაახლოს მთელი ჩვენი ცხოვრება, ააყვავოს ის და არა დარბევა და მთელი ერის სიმდიდრის განადგურება. რევოლიუცია უძლური გახდება და დაიღუპება თუ ჩვენ იქ არ შევიტანეთ ყველაფერი კარგი, რაც ჩვენ გულშია, და ლაგამს არ ავსდებთ იმ გაბოროტებას და სიმკაცრეს, რომელიც ათრობს მას და ჩირქს სცხებს რუს მუშა რევოლიუციონერს.

მ. გორკი.

კოკოშკინისა და შინგარიოვის მოკვლის გამო

რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ცენტრალურ კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო კოკოშკინისა და შინგარიოვის მოკვლის შესახებ:

„ცენტრალური კომიტეტი რუსეთის ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ღრმათ აღშფოთებული ყოფილ მინისტრების, შინგარიოვისა და კოკოშკინის საზიზღარ მკვლელობით, ზიზღს უცხადებს იმათ, ვინც აქეზებს სხვებს პოლიტიკურ მო-

კახეთი

(მგზავრის შთაბეჭდილებანი).

1. კახეთის რკინის გზა.

ლოთი რკინის გზაო—ვიღაცამ იოხუნჯა, როცა სადგური კახეთის ნავთლუღი დავტოვეთ. ეს ზნე კახეთის რკინის გზას დღიდან დაბადებისა დასჩემებია. ჯერ თითონ მის კურთხეულ ამშენებლებს ნაკლები ანგარიში გაუწევიათ მცხოვრებთა ინტერესებისთვის და გზას ისეთი მიმართულება აქვს მიღებული, რომ ბევრი მჭიდროთ დასახლებული სოფელი სრულიად მოშორებულა მის გავლენის სფეროს, მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ რაც არის, ისიც ხელიდან არ გვეცლებოდეს.

ამ მხრით სწორეთ უნუგეშო მდგომარეობაშია კახეთის რკინის გზა. მთელი ათი საათი უნდება მატარებელს თფილისიდან თელავამდის და ამოდენა დროს განმავლობაში იშვიათად შეხვდებით რკინის გზის მოსამსახურეს. თითქმის არც ერთს სადგურზე ბილეთს არ თხოულობენ. ბევრი თუმცა კიდევ ყიდულობს მეორე კლასის ბილეთს, მაგრამ ფაქტიურათ არავითარი განსხვავება აღარ არსებობს: ვინ რა ბილეთით და რომელ კლასით მოგზაურობს ალაჰმა უწყის. თითონ ვაგონები საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს: იატაკი გასვრილია ნაფურთხით, სავსეა „სემიჩკის“ ნაჭუჭებით. მაგრამ იატაკს ვინ ჩივა, ზოგიერთები კედლებზედაც არხეინათ აფურთხებენ. თფილისიდან თელავამდი ისე გავიარეთ გზა, რომ არავის ვაგონი არ დაუგვია. მაგრამ რაც კიდევ უფრო დამახასიათებელია, როცა თელავიდან გამოვედით ისევ ნაგვით სავსე ვაგონებში მოგვიხდა ჩაჯდომა. სამაგიეროთ ბლომათ არიან ქართველ პოლკის ჯარისკაცები, რომელნიც თავისთავს „ოხრანას“ უწოდებენ. ეს ახირებული მცველები მეორე კლასის ვაგონებში არიან წამოჭიმულნი და ღვინოს და არაყს შეექცევიან.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ღვინოს და არაყს მარტო სალდათები როდი შეექცევიან ვაგონებში: სვამენ აგრეთვე მგზავრები და რკინის გზის მოხელეები „პროვოდნიკი“-დან დაწყებულ ობერ კონდუქტორამდი. იქვე ვაგონებში უდევთ ტიკები და შეექცევიან. როგორც ამბობენ, ამ ცოტა ხნის უკან აქ დიდი სისასტიკე ყოფილა ღვინის წინააღმდეგ, ახლა ქართულ პოლკის ჯარისკაცები სიამაყით აღნიშნავენ, რომ ისინი ხალხს „არ ავიწროებენ“. ნამდვილი ლოთი რკინის გზაა. თითონ სადგურებსაც ეტყობა დეკადენტურ ცივილიზაციის გავლენა: კედლებს სხვადასხვა წარწერები ამშვენებენ, მაგრამ, საუბედუროთ ცენზურის პირობები ნებას არ გვაძლევენ ეს წარწერები გავაცნოთ მკითხველებს.

სამაგიეროთ, რკინის გზის ახლო-მახლო მცხოვრებლებს კარგათ შეუგნიათ არსებული „სიტუაცია“ და რკინს გზის გამოყენებას შესდგომიან: ისეთი სიძვირეა ნადგურზე, რომ წარმოდგენა ძნელია. მაგალითად, პატარა ჭადი ღირს მანეთი, პური (ნახევარ გირვანქაზე ცოტა მეტი იქნება) ორი მანეთი, ერთი ვაშლი აბაზიდან ათ შაურამდე, კვერცხი ათი შაური.

ყურის გდება უნდა, თორემ ეს ლოთი რკინის გზა სულ განადგურდება. რკინის გზის კომიტეტებმა და აგრეთვე რევოლიუციონურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა აიღონ ხელში მისი მოწყობის საქმე.

2. თელავის მუშათა საბჭო.

კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მუშათა საბჭო. ეტყობა, აქ დემოკრატია, მშრომელი ხალხია თავმოყრილი. პრინციპიალური, დინჯი მსჯელობა, მდგომარეობის სათანადო დაფასება—ასეთია საბჭოს საქმიანობა. აქ ყველაზე კარგათ გრძნობენ ანარქიის მავნებლობას, ყველა კარგათ ხედავს, რომ საჭიროა ერთგვარი წესი, რომელიც ყველა მოქალაქისთვის ერთნაირათ იქნება სავალდებულო. ორატორების სიტყვებში აქა-იქ გაისმის დამაფიქრებელი ხმები: ჩვენ ვერ აღმოვჩნდით თავისუფლებისთვის მომზადებულები, ჩვენი მოვალეობები ვერ შეგვიგნია და ეს არის უბედურების მიზეზიო. და თითქოს ამ შეუგნებლობის დასაბუთება სურთო, ზოგიერთებს შეკითხვა შეაქვთ ამა და ამ პირმა სასურსათო კომისიისაგან ორი გირვანქა ყველი რათ მიიღოვო. ირკვევა, რომ მიუღიათ ოთხი ფუთი ყველი და რადგან ქალაქის ჩვიდმეტ ათას მცხოვრებთა შორის განაწილება ვერ მოუხერხებიათ, გადაუწყვეტიათ დაურიგონ ყველი ქალაქის და კომისარიატის მოსამსახურეებს. ვიღაც „ბერჟუას“ შეხვედრია ორი გირვანქა ყველი და ამას გამოუწვევია შეკითხვა. ეს მაგალითი იმიტომ მოგვყავს, რომ მკითხველს ვუჩვენოთ, თუ რა ადვილია პროვინციაში სულ უმნიშვნელო კითხვამ აურზაური დაბადოს. კრებამ, რასაკვირველია, შესაფერად დააფასა „საკითხის“ მნიშვნელობა.

უმთავრესი საკითხი, რომელიც მთელი კრების ყურადღებას იპყრობდა—ეს იყო ადგილობრივ ქართულ პოლკის ჯარისკაცების მოქმედება. საბჭომ ერთხმათ დაადგინა წინადადება მისცეს ჯარისკაცებს გამართონ საერთო კრება და წარმომადგენლები აირჩიონ, რომ მუშათა და სალდათთა საბჭოების შეერთებულმა კრებულმა მოსპოს ის არა სასურველი მდგომარეობა, რომელიც სალდათების ნაწილს შეუქმნია. კრებაზე ქართულ პოლკის სალდათებიც იყვნენ. ყველანი აღნიშნავდენ, რომ პოლკში ბლომათ მოიპოვებიან შეგნებული პირები, შეიძლება შეუგნებელი და გახულიგანებული პირები უმცირესობას შეადგენდენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხალხი ცუდ საქმეებს ხედავს და შეგნებულ პირების გავლენა არ ჩანს. აი ამიტომ დაადგინეს, რომ საჩქაროთ მოახდინონ ჯარისკაცების კრება და მუშათა და ჯარისკაცთა შეერთებული საბჭო შექმნან. ეს საბჭო, იმედია, შეიქმნება, მაგრამ რაც აქ კრებაზე გავიგე და რაც აგრეთვე სხვებმა მითხრეს ქართული პოლკის შესახებ და პირადათაც ვნახე, მგონია მკითხველებისთვის საინტერესო იქნება და ამიტომ ცოტა უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებ ამ პოლკზე.

3. მერვე ქართული პოლკი.

ქალაქ თელავში სდგას მერვე ქართული პოლკი. ამბობენ, ამ პოლკში ცხრაასი კაცი ირიცხებაო. ფაქტიურათ ოთხასი იქნება, როგორც ფიქრობენ, რასაც ქვემოთ ვიტყვი. ის არ ეხება მთელ პოლკს იმდენათ, რამდენათ ხალხი მის მოქმედებას ხედავს, თუმცა პოლკში მოიპოვებიან შეგნებული პირები, მაგრამ ამ შეგნებულების გავლენა არ ჩანს და ამიტომ გარეშე ხალხმა არ იცის, ვინ არის შეგნებული და ვინ შეუგნებელი; ხალხი ხედავს ქართულ პოლკის სალდათებს და მათს უხეირო მოქმედებას...

შეიძლება ითქვას, რომ თელავში სალდათების დიქტატურაა გაბატონებული. არ არის ისეთი საქმე, რომელშიდაც სალდათები არ ერეოდენ. რომ ეს ორგანიზაციულათ ხდებოდეს, კიდევ კარგი. გვეცოდინებოდა, რომ პოლკი თავის ორგანიზაციის შემწეობით განაგებს ქალაქს. ეს არ იქნებოდა სასურველი, მაგრამ ერთნაირი სისტემა მაინც გვექნებოდა. მაგრამ, საუბედუროთ, არც ეს არის ასე. ბატონობს არა პოლკი, არამედ ესა თუ ის შეიარაღებული ჯგუფი.

აი გამოვიდა შეიარაღებული ჯგუფი—პატრული ვართო ამბობენ. ეს ჯგუფი ჩხრეკს გამვლელ-გამომვლელს, ართმევს იარაღს და როგორც ამბობენ, ფულსა და ნივთებსაც. აი იქ ჯარისკაცი ცხენით მიდის პირდაპირ ტროტუარზე, როცა შენიშვნას აძლევენ, ის თოფს ისვრის. აგერ ციხიდან გაუშვიათ ტუსაღი. არის შემთხვევები, რომ სალდათების მიერ დაჭერილებიც არიან ციხეში, ხოლო რისთვის არიან დაჭერილები და სანამდის უნდა ისხდენ—ეს არავინ იცის.

ზოგიერთ სალდათების ერთ მთავარ ხელობას შეადგენს იარაღით ვაჭრობა. როგორ ხდება ეს. ფრონტიდან მოდის სალდათი, რომელმაც თოფი ჩამოიტანა თან. ამ თოფს ის სახლში ინახავს და ეწერება პოლკში, საიდანაც კიდევ ღებულობს ვინტოვკას. ხდება ისიც, რომ ასეთი სალდათი მიდის სხვა ადგილას და იქ ეწერება და რასაკვირველია ახალ თოფს და ფარაჯას იღებს. ერთიც და მეორეც კარგ ფასში იყიდება. მერე თქვენ გგონიათ ყველა ჯარისკაცებს ყაზარმებში სძინავთ? სულაც არა. ზოგი სად ატარებს დროს და ზოგი სად, ალაჰმა უწყის. ერთს საინტერესო ამბავს თელავის სატუსაღოში ქონდა ალაგი. ჯარისკაცმა (ციხის ყარაულის უფროსმა) ციხის უფროსს თოფი ესროლა კანცელიარიაში. ამ დროს იქვე იყო ოფიცერიც. მერე რითი გათავდა ეს ამბავიო, იქნებ იკითხოს მკითხველმა. სალდათის მოთხოვნით ციხის უფროსი დაატუსაღეს და საღამოდან მეორე დღის ათ საათამდე საკანში ამყოფეს გამომწყვდეული.

4 ორგანიზაციები სოფლად.

კახეთის გლეხობა ერთობ ჩამორჩენილია, ამიტომ ყოველგვარი ცრუმორწმუნოება და ყალბი რწმენა ადვილათ იკიდებს აქ ფეხს.

კახეთში წელს დიდი ნაკლებობაა პურის. აქ უმთავრესათ მევენახეობას და მეთუთუნეობას მისდევენ, პური გარედან შემოჰქონდათ და რაკი სურსათის საქმე რუსეთში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში აიწეწა, ცხადია ვერც კახეთი ასცდებოდა ამ უბედურებას. რასაკვირველია ღარიბების მდგომარეობაა ძნელი, თორემ თუ გირვანქაში სამ მანეთს მისცემ—პურს ყველგან საყოფს იშოვი. ამ ნიადაგზე ათასი გაუგებრობა ხდება. ერთი მაგალითის მოწმე თითონ გახლდით.

შარშან საფხულში რევოლიუციონურ ორგანიზაციებს თელავის მაზრიდან გაუძევებიათ ვინმე დავით ლუკაშვილი, რომელიც, როგორც ამბობენ, თურმე პურს პირდებოდა ხალხს. ვიღაცამ ხმა დააგდო—ლუკაშვილს ოთხი ვაგონი ფქვილი გამოუგზავნია წინანდალისთვის და რომ არ გადაესახლებიათ, ჩვენც გამოგვიგზავნიდაო. ამ ნიადაგზე კინაღამ ექსცესები არ მოახდინეს სოფლიდან ჩამოსულებმა გლეხებმა. ეტყობა იმდენათ სუსტია სოფლის ორგანიზაციები, რომ ხალხს წარმოდგენა არ აქვს, თუ რა ხდება სასურსათო საქმეში და ამიტომ ადვილათ იჯერებს, როცა ეუბნებიან: ორგანიზაციები არ აძლევენ ნებას, თორემ ლუკაშვილი ფქვილს მოიტანდაო. გამოდის, რომ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რაც არ შეუძლია ან არ სურს იმას თურმე ვინმე ლუკაშვილი შეიძლებს. და რაკი სოფლის ორგანიზაციები ასე სუსტობენ, ზოგ სოფლებში დაბრუნებული ჯარისკაცები ადვილათ ახერხებენ აღმასრულებელ კომიტეტის ალაგას „სალდათთა საბჭოს“ დასკუპებას. ამის მაგალითი არა ერთი და ორია.

ერთი სოფლის კომიტეტისგან ასეთი ოფიციალური ცნობა მოუვიდა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს: ორმა პირმა ბავშვი გააუპატიურეს და შემდეგ მოჰკლესო ხოლო მიტინგმა ორთავეს დახვრეტა გადაუწყვიტა და დადგენილება იქვე მოიყვანეს სისრულეშიო.

რა აზრისაც არ უნდა ვიყვეთ ჩვენ ამ დადგენილების შესახებ, ერთი ცხადია: სოფლათ რევოლიუციონურ ორგანიზაციების სისუსტე.

არ არის, სხვათა შორის, საკმაო მილიცია, რაც უმთავრესათ ფულის უქონლობით აიხსნება და სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ თუმცა გლეხობის ერთმა ნაწილმა აურებელი ფული შეიძინა, მაინც გადასახადის გადებაზე არ ჰფიქრობს.

ერობის მოწყობა, თუნდაც ნაჩქარევათ, დიდს სამსახურს გაუწევდა სოფელს.

ვინმე.

წინააღმდეგეთა მოსაკლავათ და უცხადებს თანაგრძნობას სახალხო თავისუფლების პარტიას, რომელმაც მოკლულთა სახით დაჰკარგა გამოჩენილი წევრები. ცენტრალური კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) დარწმუნებულია, რომ მის აღშფოთებას იზიარებს მთელი შეგნებული პროლეტარიატი. არა მუშათა კლასს, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც არ ერიდება ბნელ და მოტყუილებულ ადამიანების პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე წასისინებას, ვინც არ ერიდება არც უიარაღო მანიფესტანტების კუთხიდან დახვრეტას—მხოლოდ ამ დემაგოგებს, რომლებსაც აღშფოთებით ზურგს შეაქცევენ ყველა შეგნებული მუშები, ეკისრება მომხდარ საზიზღარ თვითგასამართლების სირცხვილი“.

დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციამ ასეთი რეზოლიუცია მიიღო: „დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გამოსთქვამს თავის გულისწყრომას დამფუძნებელ კრების წევრების კოკოშკინისა და შინგარიოვის მხეცურათ მოკვლის გამო. ნამდვილი დამნაშავენი არიან არა ფიზიკურათ მკვლელები, არამედ ისინი, ვინც დღითი-დღე აწარმოებს წასისიანებას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ და მოუწოდებს ძალადობასა და მკვლელობისაკენ. დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქცია თანაგრძნობას უცხადებს დამფ. კრების კადეტთა ფრაქციას“.

„ნოვი ლუჩი“.

მუშათა ორგანიზაციების დარბევა-გაუქმება პეტროგრადში

4 იანვარს 12 წითელი გვარდიელი გამოცხადდა მუშათა კლუბში „ნოვაია ჟიზნ“-ში. მათ წარმოადგინეს რაიონულ საბჭოს ორდერი, რომლის თანახმათ უნდა გაეჩხრიკათ მეორე სართული დამფუძნებელ კრების დამცველ კავშირის პოგრომულ ლიტერატურის აღმოსაჩენათ, როგორც განაცხადეს წითელ გვარდიელებმა. დიდი ვაი-ვაგლახისა და ორდერზე დამატებითი წარწერის შემდეგ, რომ ჩხრეკა უნდა მოახდინონ მუშათა კლუბში „ნოვაია ჟიზნ“-შიც—კლუბი გაჩხრიკეს და შეადგინეს აქტი, რომ არავითარი დოკუმენტები არ აღმოუჩენიათ.

11 იანვარს წითელ გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა დაიკავეს მუშათა კლუბი „ნოვაია ჟიზნ“-ი და მენშევიკებისა და სოც.-რევოლიუციონერების რაიონულ კომიტეტების ბინა.

11 იანვარს შეიარაღებულ პირებმა სავსებით დაარბიეს რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ნარვის რაიონული კომიტეტი. დახიეს წიგნები, გააფუჭეს ტელეფონი, დაამტვრიეს შკაფები და სხვ. ამავე დღეს დაარბიეს კოლომენსკის კომიტეტი. დახიეს სხვადასხვა მოწოდებები, წიგნაკები, წაიღეს პარტიული ბეჭედი, არც ერთი ცალი არ დასტოვეს წიგნაკი: „საით მივყავართ ლენინს“.

11 იანვარს წითელ გვარდიელებმა გაჩხრიკეს მუშათა სოციალისტური კლუბი „პროსვეშჩენიე“. ძალით გააღეს ბიბლიოთეკის ყველა შკაფები.

გაჩხრიკეს და დაარბიეს როჟდესტვენსკის რაიონული კომიტეტი. წაიღეს პარტიული ბეჭედი.

დას. საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა

2 თებერვალს ქუთაისში გაიხსნა დასავლეთ საქართ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწ. მასწავლებელთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 70 კაცი. ყრილობა გახსნა საორგანიზაციო ბიუროს სახელით პ. არაჩემიამ. მან გამოაცხადა ყრილობა კანონიერათ და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ტ. რ. თაბუკაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ ნ. ჯაყელი, მდივნებათ: ლორთქიფანიძე და ბერიკაშვილის ქალი. ყრილობამ თითქმის ერთხმად დაადგინა არ შეეხოს პოლიტიკურ კითხვებს და იმსჯელოს მხოლოდ წმინდა პროფესიონალურ კითხვებზე.

პირველათ გაირჩა საკითხი უმაღლეს ტიპის სასწავლებლების არანორმალურათ გავრცელების შესახებ ამ უკანასკნელ დროში. ყველა ორატორები ერთსა და იმავე სურათს გვიხატავდენ: სასწავლებლები ბევრი გაიხსნა, მაგრამ ცოტა მოინახება ისეთი, რომელიც უზრუნველყოფილი იყოს როგორც მასწავლებელთა შემადგენლობით, ისე ქონებრივათ; ამასთანავე ეს სასწავლებლები ახლა ხან ინახება საზოგადოების ხარჯზე, და თუ მივიღებთ მხედველობაში გადიდებულ ჯამაგირებს, მაშინ ცხადი იქნება თუ რამდენათ აუტანელია ეს ხარჯები საზოგადოებისათვის. მიიღო რა მხედველობაში ზემო მოყვანილი მოსაზრებები ყრილობამ დაადგინა: შესწყვიტოს ასეთი სასწავლებლების გახსნა იმ დრომდის, როცა შეიქნებოდეს უფრო ხელსაყრელი პირობები.

ამას გარდა, ვინაიდან რიცხვი ახლად გახსნილ სასწავლებლებისა დიდია, რაც გამოწვეულია ხშირად ზოგიერთ სოფლების ჟინიანობით, კრებამ დაადგინა დაევალოს ვისაც ჯერ არს, გამოარკვიოს ამ სასწავლებელთა რიცხვი და გამონახოს ის პუნქტები, სადაც ასეთი სასწავლებლის არსებობისათვის უკვე არის შესაფერი პირობები.

გამოირკვა, რომ როდესაც პირველდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლები 210 მან. და ბინას ღებულობენ თვეში, უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების მასწავლებლები უფრო ნაკლებს იღებენ. თუ მივიღებთ ამ უკანასკნელ გარემოებას მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი ტიპის სასწავლებლები მოკლე ხანში სულ დაცარიელდება თუ მასწავლებლებს ჯამაგირი არ გაუდიდეს იმდენათ, რომ ისინი ღებულობდენ დაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლებზე მეტს. ამ გარემოებამ დაბადა კითხვა: უნდა იყოს ამ სასწავლებელთა მასწავლებლების ჯამაგირებს შორის განსხვავება თუ არა. ეს საკითხი, თვით სასწავლებლების სასარგებლოთ დადებითად გადაწყდა. უმაღლეს დაწყებით სასწ. მასწავლებელს თვეში უნდა მიეცეს 300 მ. ძირითადი და 100 მ. კი ბინის, გათბობის და განათების.

მართვა-გამგეობის საკითხმა, როგორც იყო მოსალოდნელი დიდი კამათი გამოიწვია. ს.-ფედერალისტებმა და ს.-რ. მიმართეს თავის ნაცად ტაქტიკას, მოითხოვეს სკოლის ავტონომია და საბჭოდან ხალხის (დემოკრატიის) განდევნა. მათ წარმოადგინეს შემდეგი პროექტი მართვა-გამგეობისა: სკოლას განაგებს პედაგოგიური შემადგენლობა, მშობელთა წრის 2 წარმომადგენელი, 1 წარმომადგენელი აღმასრულებელი კომიტეტისა ან ერობისა და ერთიც მოსწავლეებისა. მეორე პროექტი კი ჩვენმა ამხანაგებმა წარმოადგინეს: სკოლას განაგებს ერთი მთლიანი პედაგოგიური საბჭო, რომელშიც შედიან მასწავლებელთა მთელი შემადგენლობა, მშობელთა 2 წარმომადგენელი, მოსწავლეთა წარმომადგენელი და დემოკრატიის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელ პროექტით შეშინებულმა ს.-ფ. და ს.-რ. წამოიძახეს ქუჩაში გინდათ მოკრიბოთ ხალხი საბჭოს შესავსებათო? სამწუხაროთ ჩვენები რიცხვით ცოტანი ვიყავით და მიღებულ იქნა პირველი პროექტი.

მასწავლებელთა კონტინგენტის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი დებულებები: უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში დაშვებული იქნებიან მასწავლებლებათ საოსტატო ინსტიტუტების კურს-დამთავრებულნი. საშუალო სასწავლებლის კურს-დამთავრებულებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები იმ საგნების პედაგოგიკაში და მეთოდიკაში, რომლის მასწავლებლობა უნდათ იკისრონ. სასულიერო სემინარიის კურს-დამთავრებულნი გამოუცდელათ იქნებიან დაშვებული ქართულ ენის მასწავლებლათ. საოსტატო სემინარიის კურს-დამთავრებულებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები სამეცნიერო საგნებშიც. ამ მიზნისთვის სამოსწავლო წლის ბოლოდან გახსნილი იქნება კურსები, რომლის დასრულების შემდეგ შეუძლიათ მსურველებს იმასწავლებლონ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებში. ოთხი კლასის კურს-დამთავრებულთ სრულებით არ შეუძლიათ მასწავლებლობა უმაღლეს ტიპის სასწავლებლებში, თუ მათ არ ჩააბარენ სრული გამოცდები ინსტიტუტის პროგრამით. თუ ასეთი პირები ეხლა მასწავლებლობენ, მათ უნდა მიეცეს წინადადება დასტოვონ ადგილები, თუ სხვა სკოლებშიაც აქვთ ადგილი.

სამღვთო სჯულის შესახებ ყრილობამ დაადგინა გაუქმებულ იქნას ამ საგნის სწავლება სკოლის დარბაზში, თუ სურს ვინმეს ამ საგნის სწავლება, მივიდეს მღვდელთან ეკლესიაში და იქ ისწავლოს.

ინსპექტორების თანამდებობის გაუქმების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „გაუქმებულ იქნას ინსტიტუტი ინსპექტორებისა, სკოლის გამგეთ ინიშნება პედაგოგიური კოლეგია, გამგის მოვალეობას ამ გვარათ ასრულებს მთელი მასწავლებელთა შემადგენლობა, საბჭო ირჩევს საქმის მწარმოებელს, მდივანს, ხაზინადარს და კომისიებს: სამეურნეოს, საფინანსოს და სხვა. ერთი წლით საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს. ინსპექტორის ჯამაგირი გადადის პედაგოგიურ საბჭოს განკარგულებაში. უკანასკნელი კი ანაწილებს ამ ფულს. რომ ეს დადგენილებები შესრულებულ იქნას, ყრილობამ ამოირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ხუთი კაცისაგან შემდგარი.

კომისარიატთან და სამინისტროსთან შუამდგომლობისთვის ყრილობამ ამოირჩია დელეგატი, რომელმაც დაუყონებლივ უნდა აღძრას შუამდგომლობა, რომ მალე მისცენ მასწავლებლებს დამატებითი ჯამაგირებით პირველ ოქტომბრიდან. დასასრულ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტის გამგეობას.

გ. ხონელი.

სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 7 იანვარს გაიხსნა პირველ რაიონის კოლლექტივის ს. დ. პ. წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: წითელი რაზმი, რკინის გზის სკოლა, კლუბი „მუშტაიდი“. წითელი რაზმის შესახებ კრებამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში არსებულ კრიტიკულ მდგომარეობას, ს. დ. პ. ყველა წევრი, რომელიც ინტელიგენტურ შრომას ეწევა, ვალდებულია ჩაეწეროს წითელ რაზმში და შეისწავლოს იარაღის ხმარა, რომ საჭიროების დროს იარაღით ხელში დაიცვას რევოლიუციის მიერ მონიჭებული თავისუფლება. ამ კითხვის ორგანიზაციულათ მოსაწყობათ და გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ კრებამ აირჩია კომისია ორი კაცისაგან შემდგარი. კომისიის წევრებათ აირჩიეს ამხ. ჟურული და ჩიქოვანი. სხვათა შორის კრებამ დაადგინა კვირაში ერთხელ იქმნას მოწვეული წითელ რაზმელთა რაიონული კრება, სადაც უნდა აეხსნას მათ ის, რომ შეგნებულ და იდეურ წითელ რაზმელების ვალდებულებაა გაორკეცებულ ენერგიით დაიცვას რევოლიუცია კონტრ-რევოლიუციისაგან.

მუშტაიდის კლუბის შესახებ კრებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ კოლლექტივის ყველა წევრები ვალდებულია იქონიოს გავლენა თავიანთ ამხანაგებზედ, რომ იგინმა დაესწრონ საერთო კრებას და მით საშვალება მოგვცენ გავიყვანოთ ჩვენი კანდ. მუშტაიდის კლუბის მმართველობაში.

რკინის გზის სკოლის შესახებ კრებამ ერთხმათ მიიღო შემდეგი: თავისუფალ დროს, სკოლის დათმობა ამა თუ იმ პირთა, ანუ პარტიისთვის, კრების, წარმოდგენის, ორკესტრის თუ სხვა გასართობის მოსაწყობათ, მიეცეს სრული უფლება ამხ. მასწავლებელს კანდელაკს.

ა. კვაჭაძე.

პროვინცია

თელავის მაზრა. 4 თებერვალს მოწვეული იყო თელავის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. წამოყენებული იყო განსახილველათ შემდეგი მორიგი კითხვები: ტყე და მიწა; ანარქია და მასთან ბრძოლა; სოფლის მილიცია და თავდაცვა; კომიტეტების რეორგანიზაცია; გადასახადები; ალვანისა და პანკისის საზოგადოებების შეერთება თელავის მაზრაზე; ინსტრუქციის შედგენა სოფლის კომიტეტებისათვის სახელმძღვანელოთ; სასურსათო საკითხი: სოფლის სასამართლოები; სახალხო სკოლების მდგომარეობა, ყაჩაღობა და მასთან ბრძოლა.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა თელავის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კ. სეხნიაშვილმა. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა თითქმის ყველა სოფლის მცხოვრებთ: ალაზან გაღმით და გამოღმით გაუჩეხნიათ ტყეები, მხოლოდ ხუთ-ექვს საზოგადოებას მოუჭრია ჭიგო და შეშა საადგ. მამულო კომიტეტის ნებართვით, სხვებს კი თავიანთ ნებით. ტყეები უფრო მას შემდეგ გაჩეხილა, რაც ფრონტებიდან დაბრუნებულან ზოგიერთი გაბოლშევიკებული ჯარისკაცები.

ტყეები გაუნადგურებიათ ხალხს შემდეგ სოფლებში: რუისპირის, ვარდისუბნის, ურიათ უბნის, ბაბანეურის ბოლოს (თუშებს), საბუეში, გრემში, ყვარელში (უღრესათ), შილდაში და ხაჩმიანში.

ყველა ამ საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) თავის ნებით გამჩეხთ ყველას ჯარიმა გადახდეთ; 2) გადახდილ ჯარიმიდან მესამედი სოფელს დაუბრუნდეს ადგილობრივ საჭიროებისათვის, დანარჩენი კი გადაეცეს საად.-მამულო კომიტეტს. 3) ყველა სოფლებში იქნას ამორჩეული სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც თვალს დაიჭერს ტყეებზე და მასთან დაეხმარება მაზრის საად.-მამულო კომიტეტს ადგილობრივ სტატისტიკურ ცნობების შეკრებაში მიწების საჭიროების თაობაზე. ყრილობამ გამოსცეს მოწოდება თავისი სახელით ხალხის გასაფრთხილებლათ ტყეების გამჩეხთა საწინააღმდეგოთ. საადგ.-მამულო კომიტეტების ნებადაურთველათ აიკრძალოს ტყეების გაჩეხვა, დამნაშავენი დატუსაღებულ იქნენ. ადგილობრივმა კომიტეტებმა ყველა მიწერილობა საადგ.-მამულო კომიტეტისა დაუბრკოლებლივ სისრულეში მოიყვანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში 100 მ. დაჯარიმდეს კომიტეტი; ნაცვლათ ძველი ტყისმცველებისა ამორჩეულ იქმნენ ტყეების კომისარები.

ანარქია რევოლიუციას ასუსტებს, ამ დროთი სარგებლობენ შავი ძალები და ცხოვრებას გვიწამლავენ, ამისათვის ყველა სოფლებში მოეწყოს მჭიდრო ორგანიზაციები ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მასთან თელავის მაზრის ოთხივე რაიონებში მოეწყოს სამხედრო შტაბები; ყველა სოფლებში შეგნებულ ჯარისკაცთა დახმარებით არასაიმედო ჯარისკაცთ ჩამოერთოთ თოფები და გადაეცეს საიმედო ამხანაგებს; შესდგეს სიები, რომელ დაბრუნებულ ჯარისკაცს აქვს თოფი და ან რამდენი თოფია თვითეულ სოფელში.

დაარსდეს სოფლად დრუჟინები საიმედო პირებისაგან, ამორჩეულ იქმნას 5 კაცისაგან შემდგარი თავდამცველი კომისია, რომელიც ადგილობრივ თელავის მაზრაში დასახლებულ მეზობელ თათრებთან და ლეკებთან სამშვიდობო კავშირს გამართავენ, მასთან გაიგზავნოს ეს კომისია, რომელშიაც უნდა შედიოდეს ერთი თათარი, ერთი ლეკი, ერთი სომეხი და ორი ქართველი დაღესტნისა და ზაქათალის მხარეს ლეკებთან მოსალაპარაკებლათ, რომ თელავის მაზრის და მათ შორის მჭიდრო ძმური კავშირი არავინ გასწყვიტოს და პროვოკაციის საშვალებით შეტაკება არავინ გამოიწვიოს. მოხდეს ყველა სოფლების კომიტეტების რეორგანიზაცია ამ მოკლე ხანში.

ალვანისა და პანკისის საზოგადოებები შემოუერთდეს თელავის მაზრას.

მილიციონერების ჯამაგირისათვის შეწერილი ფულები დაუბრკოლებლივ გადაიხადოს ყველა სოფლებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი საშუალება იხმაროს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

სოფლის კომიტეტებისათვის შედგენილი ინსტრუქცია, უნდა შესწორდეს და ისე დაეგზავნოთ სოფლებს სახელმძღვანელოთ. დანარჩენი საკითხების განხილვა მიენდო აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს.

სოფლელი ამხანაგი.

სოფ. ბახვი (გურია). 4 თებერვალს შესდგა ბახვის მომხმარებელ საზოგადოების „იმედი“-ს წევრთა კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: გამგეობის მოხსენება 1917 წ. ანგარიშის შესახებ, მონაგების განაწილება და გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ. მისს მოხსენებიდან სჩანს, რომ მთელი წლის განმავლობაში გადაბრუნებულა 105,000 მანეთამდე, რომლიდანაც წმინდა მოგება დარჩენილა 6,700 მანეთამდე. კრებამ მიიღო და დაამტკიცა ყველა ეს ანგარიშები. ერთგული და ნაყოფიერი მუშაობისათვის კოოპერატივის მოსამსახურენი დასაჩუქრებულ იქნა: ხსენებულ კოოპერატივში იყო ხუთი გამგე. სამი მათგანი,—თავმჯდომარე ი. მგელაძე, წიგნის მწარმოებელი ნ. ცეცხლაძე და ხაზინადარი ი. გორდელაძე—კრებამ დაასაჩუქრა ხუთას-ხუთას მანეთით. მეოთხე გამგემ ერ. ქელიძემ საჩუქარზე უარი განაცხადა, რაზედაც კრებამ დიდი მადლობა განუცხადა. მეხუთე გამგე მ. შავიშვილი დაასაჩუქრეს 170 მან., რომელიც მხოლოდ ოთხ თვეს მსახურებდა, ხოლო ამხ. ი. გორდელაძემ ნახევარი თავის საჩუქარისა, ესე იგი 250 მან. შესწირა ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფს; ხალხმა გულწრფელი მადლობა განუცხადა; დასაჩუქრებულ იქნა აგრეთვე ერთგული მუშაობისათვის ნოქრები ი. ქელიძე და მ. მდინარაძე ას-ასი მანეთით, მოლარე სულხიას ასული 200 მან. კრებამ სურვილი გამოსთქვა სარევიზიო კომისიის დაჯილდოვებაზე, მაგრამ იმათ უარი განაცხადეს. ამავე მონაგებ ფულებიდან კრებამ 1000 მან. გადასდო ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის სასარგებლოდ. 500 მან. ბახვის სახალხო სახლის ასაშენებლად; 200 მან. ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიისათვის. ხუთ-ხუთი თუმანი ნატანების და ბახვის წყლის ბოგებისათვის. „კიდევ ხუთ-ხუთი თუმანი ორი მაჰმადიანი ბავშვების სასარგებლოდ, რომლებიც სწავლობენ ადგილობრივ ორკლასიან სასწავლებელში. სათადარიგო თანხაში გადადებულ იქნა 10 პროცენტი მთელი მოსაგებისა. გამგეს მაგიერ კრებამ საჭიროთ სცნო აერჩია სამი და ხელმეორეთ ეთხოვა იმ ზემოთ მოხსენებულ სამ პირთ, რომლებსაც მიეცემათ თვეში 150 მან. სარევიზიო კომისიაში დარჩენ ისევ ძველები, ხოლო ერთის მაგიერ, რომელიც აქ აღარ იმყოფება, არჩეულ იქნა მღ. კ. სალუქვაძე.

ხოშიკაშვილი.

სოფ. გორა-ბერეჟოული (გურია). 4 თებერვალს შესდგა ს. გორა-ბერეჟოულის კრება, განიხილეს სურსათის საკითხი და დაადგინეს, რომ თავიდან აიცდინოს კარზე მომდგარი შიმშილობა, ეხლავე შეუდგენ საქმის მოწესრიგებას. აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც უნდა წავიდეს სამეგრელოში და რათაც უნდა დაჯდეს მოიტანოს სიმინდი. აგრეთვე ზომები იქნა მიღებული ფულების შესაგროვებლად. რაც შეეხება იმ ფულებს, რომელიც გადაცემულია ჩოხატაურის სასურსათო კომიტეტში, 1842 მ. კრებამ დაადგინა დაუყონებლივ გადაეცეს ახლად არჩეულ კომისიას სიმინდის შესაძენათ. ადგილობრივ პირებს, რომლებსაც აქვს გასაყიდი სიმინდი და მეტი ფასის ასაღებათ ყოველგვარ ზომებს ხმარობენ და არ აძლევენ ადგილობრივ მცხოვრებთ, არამედ ყიდიან ჩუმათ გარეშე საზოგადოების წევრებზე, კრებამ დაავალა არ იქნას გატანილი სიმინდი ამ საზოგადოების გარედ, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი შიმშილს განიცდიან, მიყიდულ იქნას ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ფასებში, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ყოველი მხრით შეებრძოლება ასეთ პირებს.

მ. დოლიძე.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ვასილი კიმოთეს ძე ლომჯარია, ოზურგეთის მაზრის ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები 1915 წელს ხარბინში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მას შემდეგ მისმა ნათესავებმა არ იციან, სად იმყოფება იგი. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ ვსთხოვ გამაგებიოს შემდეგი მისამართით: ქ. ოზურგეთი—ანტონ კიმოთეს ძე ლომჯარია.

— მიხაილ ყაისარის ძე ჭყონია მუშაობდა ქ. ტრაპიზონში მესამე კავკასიის საინჟინერო-საალმშენებლო დრუჟინაში. 4 თვეა მისგან ცნობა არ მიგვიღია. ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გაგვაგებინოს შემდეგი მისამართით: ლანჩხუთი, ყაისარ ჭყონიას ს. ჩიბათში.

— ილარიონ ბესარიონის ძე მგელაძე რევოლიუციამდე იყო გადასახლებული ციმბირში (ენისეის გუბერნიაში) 1916 წლის დეკემბრის შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: სად. ლანჩხუთი. სოფ. აკეთი, მაქსიმე ესტატეს ძე თოხაძე.

— პორფიკი იასე ქლენტი მსახურებდა მე-637 ყაგიზმანის პოლკში. ოთხი თვეა, რაც მის შესახებ არა ვიცათ რა. თუ ვინმემ რამე იცის, ვსთხოვთ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: სად. სუფსა, იოსებ ქლენტი.

ფონდი

მივიღეთ მათე დოლიძისაგან 40 მანეთი. 30 მანეთი დამფუძნებელ კრების სასარგებლოთ, ხოლო 10 მანეთი „ერთობის“ ფონდისთვის.

მივიღეთ აგრეთვე სოგორის (გურია, ბერეჟოულის საზ.) კოოპერატივისაგან „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ 30 მანეთი.

ჩვენი ფოსტა

სუფსა. იოსებ ქლენტს. თქვენი განცხადება უფასოთ იბეჭდება. თქვენ მიერ გამოგზავნილი 3 მან. გადავეცით ომიანობით დაზარალებულთა ფონდის გასაძლიერებლათ.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეჟრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

1917 წლის 29 დეკემბერს ქუთაისიდან რიონამდის მატარებელში
დავკარგე
უვადო პასპორტი მოცემული ეწრის საზოგადოების სამმართველოსაგან და აგრეთვე მოწმობა სამ. თავისუფლებისა მიღებული უმ. სენატისაგან. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: платф. Іацети, компсаріатъ Михаилу Давадовичу Денсадзе.

ექიმი ქალი
რ. ბ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

ექიმი ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მდივანოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ვ. ბ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიჩნდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ზ. დონხინი
ყოფილ ასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე) ტელ. 14—37.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დამზადებულია კოლექციებათ ახალი ნაცადი
საბოსტნე თესლები
1-ლი კოლექცია,—ამიერ-კავკასიის მთა-გორიან ადგილებში გამოსადეგი, შემდგარი ოცი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან, ღირს—120 მანეთი.
2-რე კოლექცია—დაბალ ადგილებისათვის, ოცდაექვსი სხვადასხვა გვარი თესლებისაგან შემდგარი ღირს—160 მანეთი.
კოლექცია მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით. კოოპერატივებს და დაწესებულებებს თესლი გაეგზავნებათ მთელი ფასის 75 პროც. მიღების შემდეგ. დანარჩენი კი ფასდადებით, კერძო პირებს კი 20 პროც. უფრო ძვირად და მთელი ფასის მიღების შემდეგ.
დაკვეთა მიიღება 1 მარტამდე. დაკვეთილი თესლები დაეგზავნებათ მსურველთ რიგ-რიგობით.
დაკვეთა და ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бебутовская № 6 контора „Земля и Трудъ“, агроному А. А. Атанасіану. (5—3)

ვაგზლის კერძო სამკურნალო.
შიხინოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე
იღებენ ექიმები-სპეციალისტები:
ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი მლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

მსწრაფლ-ნაბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი, № 1.